# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


დაარსებულია 1918 წელს.

შაბათი, 9 ოქტომბერი, 2010 წელი.

№189 (6555)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge და sakresp@mail.ru | ვებ გვერდი: www.open.ge | ფასი 50 თეთრი.


## აფხაზეთი იყო საქართველოს შემადგენლობაში და, შესაძლოა, ისევ დაბრუნდეს, თუმცა ამ ეტაპზე ამაზე საუბარიც კი არ ღირს

3 4





## ომი, რომელიც გუშინ იყო...

7

## ჰილარი კლინტონმა საქართველოს სხვისი ტერიტორიები მისცა?..

8

## გუშინდელი არასრულწლოვანი – დღევანდელი მშობელი

5



## საქართველო გადასატანი ჰაერ-საწინააღმდეგო კომპლექსის შესყიდვის ლიცენზიას მოიპოვებს?..

3



## ნინო ბურჯანაძე: პრეზიდენტი სახელმწიფო რანგში აყვანილი ტყუილებით იმყარებს პოზიციებს

2

## შნობელიდან ნობელამდე

6





ნობელი — 2010

## საკაშვილი წვრილ მეწარმეებს დაერია

8



ოპოზიცია



*„პოლიტიკაში სხვისი თამაშის წესებით არასოდეს უნდა ითამაშო“, — აცხადებს ნინო ბურჯანაძე და მისი ოპოზიციაში ყოფნის პერიოდიც სწორედ ასეთი რადიკალიზმით ხასიათდება. რასაც ვერ ვიტყვით დანარჩენ ოპოზიციონერ პოლიტიკოსებზე, რომლებსაც მეტ-ნაკლები კონსტრუქციული დამოკიდებულება ხელისუფლებასთან ზოგადად მაინც ახასიათებთ. მაგალითად, ლეიბორისტები, რომლებიც ხალხის მიერ მათთვის მინიჭებულ მანდატს მხოლოდ ხელფასების აღებისას იყენებენ (ხომ მაინც იყენებენ?!):*

# ნინო ბურჯანაძე: სააკაშვილი სახელმწიფო რანგში აყვანილი ტყუილებით იმყარებს პოზიციებს

## პოლიტიკური ბრძოლის ახალი ეტაპი და ხუთი ძირითადი მოთხოვნა

სახალხო კრებასთან დემოკრატიული მოძრაობის ლიდერის დაკავშირებამ (ლამის გაიგივებამძ ის შედეგი გამოიღო, რომ ოპოზიციური პარტიების გზები გამიჯნა. შესაბამისად, გამარჯვებული ხელისუფლება დარჩა, რომელიც საერთაშორისო არენაზე პოზიციებს იმყარებს. „ხელისუფლება პიარკომპანიებით, პირადი კონტაქტებითა და სახელმწიფო რანგში აყვანილი ტყუილებით ცდილობს იმიჯის შექმნას, ხანდახან მათ ეს წარმატებულად გამოსდით“, — განაცხადა ნინო ბურჯანაძემ გუშინ „კავკასიის“ პრეს-კლუბში გამართულ პრესკონფერენციაზე. პოლიტიკოსი რამდენიმე დღის წინათ დაბრუნდა კიევიდან, თუმცა კონკრეტულ შეხვედრებზე არ ისაუბრა: „ყველაზე დაწვრილებით ვერ ვისაუბრებ, რადგან მათი უმეტესობა პირად კონტრაქტებს უკავშირდებოდა. ყველა შეხვედრისას შევეცადე ამეხსნა ის ობიექტური რეალობა, რაც საქართველოში არსებობს. განსაკუთრებით აღსანიშნავი იყო პოლიტიკური თოქ-შოუში მონაწილეობა. უკრაინაში დიდია საქართველოსადმი ინტერესი, ამიტომ ეს შოუ ყველაზე რეიტინგული იყო მთელი კვირის განმავლობაში. ეს ჩემთვისაც სასიამოვნო იყო, რადგან არათუ უკრაინაში, არამედ ქართულ მედიასივრცეში ლამის „პერსონა ნონ-გრატად“ ვარ გამოცხადებული ხელისუფლების მიერ“, — ამბობს ბურჯანაძე.

არამხოლოდ ხელისუფლების მხრიდან, არამედ მთელი ოპოზიციური სპექტრი ამჯერად სწორედ ნინო ბურჯანაძეს დაუპირისპირდა და ასე ცდილობენ გაამართლონ სახალხო კრების პირველ კონფერენციაზე მიუსვლელობა. „ფორუმისგან ჩემი მისამართით გამოთქმული საყვედურები აბსოლუტურად გაუგებარია, რადგან ყველაზე აქტიურად „სახალხო კრება“ სწორედ მათთან თანამშრომლობდა. კრების იდეა ახალი ხომ არ არის?! ამის შესახებ შარშანდელი ნოემბრიდან იყო საუბრები დაწყებული. ჩვენთვის რა არის მთავარი? — ვინ მოგვწონს, თუ ის, რა მდგომარეობაშია ქვეყანა? სახალხო კრების საინიციატივო ჯგუფმა ძალიან დიდი ძალისხმევა ჩადო, რომ ყველა ოპოზიციური პარტია საზოგადოების გვერდით დამდგარიყო. კრებაზე რა მოხდა, ჩემთვის გაუგებარია. თუ არ იცოდნენ, კრებას რა უნდოდა, შეეძლოთ სტუმრის სტატუსით დასწრებოდნენ და გაეგოთ შინაარსი. მაგრამ ჩანს, რომ მათთვის ქვეყანაზე უფრო ისაა მნიშვნელოვანი, სხვამ არ გადადგას მათზე წინ ნაბიჯი და მისი აქტიურობა არ გამოიკვეთოს. სახალხო მოძრაობას სერიოზული პოტენციალი გააჩნია“, — იმედოვნებს დემოკრატების ლიდერი.

ნინო ბურჯანაძემ ყბადაღებული მათი ოპოზიციის ერთიანობის აუცილებლობის შესახებ გუშინ დაამსხვრია და აღნიშნა: „სულ არ არის აუცილებელი ოპოზიციის გაერთიანება. ეს სააკაშვილმა შექმნა მითი ამის შესახებ. სააკაშვილმა კარგად იცის, რომ ეს რთული პროცესია და ამიტომ ამით მანიპულირებს. სახალხო კრების იდეა და საარჩევნო კანონმდებლობის ცვლილება ერთმანეთს ხელს ვერ შეუშლიან. სააკაშვილს უნდოდა გაემიჯნა ერთმანეთისგან კონსტრუქციული და რადიკალური ოპოზიცია და გამოუვიდა კიდეც“.

დემოკრატიული მოძრაობა — „ერთიანი საქართველოს“ ლიდერის მტკიცებით, ის მოთხოვნები, რაზეც რვა პოლიტიკურმა პარტიამ იმუშავა და ხელისუფლებას წარუდგინა, საარჩევნო გარემოს მაინც ვერ შეცვლის, თუ არ იქნება კიდევ ხუთი მოთხოვნა შესრულებული: მედიის თავისუფლება, ბიზნესის დამოუკიდებლობა, პოლიციის დეპოლიტიზაცია, სასამართლოს გათავისუფლება ხელისუფლების ზეგავლენისგან და ობიექტური ცესკო“.

სახალხო კრება და ნინო ბურჯანაძე ირწმუნებიან, რომ თუ ხელისუფლება ამ მოთხოვნებს რეალურად შეასრულებს, 2012 წლამდე ხმის ამომღები არ არიან. თუმცა ისიც იციან, რომ ნაციონალური მოძრაობა ამ კომპონენტებს ბოლომდე ვერ დათმობს, ამიტომ ოპოზიცია ვალდებულია, ბრძოლა გააგრძელოს. ბურჯანაძეს არაფერი ეტყობა იმისა, რომ ოპონენტ კოლეგებზე დიდად გულდაწყვეტილია. პირიქით, ის ყველა პოლიტიკურ ძალასთან თანამშრომლობას გეგმავს. „საქართველო მოდერნიზებული პატარა საბჭოთა სახელმწიფოა. შეადარეთ ერთმანეთს „ვრემია“ და „კურიერი“. სააკაშვილი ამტკიცებს, აჯანყებით არაფერი გამოვაო. აჯანყება სულაც არ არის აუცილებელი, საჭიროა მშვიდობიანი მოთხოვნები წავუყენოთ ხელისუფლებას. მთავარია, საზოგადოება შეთანხმდეს, რომ სააკაშვილი მოცილდეს ხელისუფლებას. ოპოზიციამ ერთმანეთის კრიტიკას თავი უნდა დავანებოთ. გავისტუმროთ სააკაშვილი და მეორე დღესვე გავხსნათ პოლიტიკური ცეცხლი ერთმანეთის წინააღმდეგ. ხალხს ობიექტური არჩევნების უფლება აქვს“.

**მთავარია, საზოგადოება შეთანხმდეს, რომ სააკაშვილი მოცილდეს ხელისუფლებას. ოპოზიციამ ერთმანეთის კრიტიკას თავი უნდა დავანებოთ.**

**ბურჯანაძის ბრძოლის გზა კონკრეტულად შემოფარგლული არ არის. „უნდა ვიბრძოლოთ ყველა ფორმით, რითაც იბრძვის ცივილიზებული ოპოზიცია: მედიასთან ურთიერთობით დაწყებული, დამთავრებული ფართომასშტაბიანი მიტინგებითა და მანიფესტაციებით. ნაციონალებმა დააკომპლექსეს საზოგადოება, რომ ეს არ შეიძლება. რა, ფრანგები ჩვენზე ნაკლები ცივილიზებულები არიან, ისინი ხომ ასე იცავენ პოლიტიკურ და სოციალურ უფლებებს? ორი მილიონი ფრანგი გამოვიდა ქუჩაში იმის გამო, რომ საპენსიო ასაკი გაზარდა ხელისუფლებამ. ასე ხდება დასავლეთში, ამერიკაში... ერთხელ თუ არ გამოგვივიდა ფართომასშტაბიანი ბრძოლა, სულაც არ ნიშნავს, ფარ-ხმალი დავყაროთ“, — აღნიშნავს ნინო ბურჯანაძე და პოლიტიკური ბრძოლის ახალი და უფრო საგულისყურო ფაზისთვის ემზადება.**

თეა მოსია

ინფორმაცია

## თურმე ამერიკა აფხაზეთის წინააღმდეგ გვაქეზებს

**აშშ-ის სახელმწიფო მდივნის ჰილარი კლინტონის გამოსვლასთან დაკავშირებით აფხაზეთის ე.წ. საგარეო საქმეთა სამინისტრომ საგანგებო განცხადება გაავრცელა. განცხადებაში ნათქვამია, რომ რუსეთის შეიარაღებული ძალები აფხაზეთის ტერიტორიაზე აფხაზეთსა და რუსეთს შორის საერთაშორისო შეთანხმების საფუძველზე იმყოფებიან.**

**— რუსი სამხედროები წამოადგენენ გარანტს, რომ საბრძოლო მოქმედებები არ განახლდეს საქართველოსთან, რომელიც აშშ-ის მხარდაჭერით აფხაზეთში მორიგ სამხედრო შეჭრისთვის ემზადება. ამერიკის შეერთებულ შტატებს ღია პროქართული პოზიცია უკავია. ის ჟენევის მოლაპარაკებების ერთ-ერთი თანათავმჯდომარეა, რაც იწვევს გონივრულ ეჭვს მოლაპარაკებებში აფხაზური მხარის მონაწილეობის მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით„ — ნათქვამია სეპარატისტების განცხადებაში.**

**აფხაზი სეპარატისტები აშშ-ის სახელმწიფო მდივნისგან მოითხოვენ „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების“ და „საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ურყევი მხარდაჭერის“ ტერმინების ზუსტ განმარტებას. განმარტებები შეიძლება აღქმული იყოს, როგორც პროვოცირების მოხდენა, რომ საქართველომ „ტერიტორიული მთლიანობა“ სამხედრო გზის გამოყენებით აღადგინოს და ამაში მას აშშ-ს ღია მხარდაჭერა აქვს.**

## კანონპროექტი მცირე ბიზნესის შესახებ

**საქართველოს მცირე და საშუალო საწარმოთა ასოციაციის ახალ ოფისში მცირე ბიზნესის შესახებ კანონპროექტის პრეზენტაცია გაიმართა.**

**კანონპროექტი წარმოადგინეს ასოციაციის პრეზიდენტმა გიორგი ისაკაძემ, ვიცე-პრეზიდენტმა კახა კოხრეიძემ და აღმასრულებელმა დირექტორმა ლევან კალანდაძემ.**

**— მიგვაჩნია, რომ ქვეყანაში არსებული სამართლებრივი სფერო არ მოიცავს მცირე ბიზნესის ხელშემწყობ ნორმატივებს. შემუშავდება მცირე ბიზნესის განვითარების მხრივ სამართლებრივი ნორმები. ჩვენ წარმოვადგინეთ ჩვენი კანონპროექტი მცირე ბიზნესის განვითარებისთვის, — აცხადებს ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი კახა კოხრეიძე.**

**საქართველოს პარლამენტში საკანონმდებლო წინადადებების სახით რეგისტრაციამდე პროექტი გადაეგზავნება საქართველოს მთავრობის ეკონომიკურ გუნდს. ასოციაცია კი გამოთქვამს მზადყოფნას, უპასუხოს ყველა შეკითხვას და ჩაერთოს მის დეტალურ განხილვებში.**

## რკინიგზა აფეთქებას გადაურჩა

**საქართველოს რკინიგზა აფეთქებას გადაურჩა.**

**ზუგდიდი-სენაკის სარკინიგზო მაგისტრალზე 1 500 გრამი ტროტილი იპოვეს.**

**ასაფეთქებელი მოწყობილობა სოფელ ჭალადიდის სადგურში იყო დამონტაჟებული.**

**ეს ის მაგისტრალია, რომელზეც ყოველდღიურად ათობით სარკინიგზო შემადგენლობა გადის და ფოთის პორტიდან ტვირთი დანარჩენ საქართველოში გადააქვს. განაღმვითი სამუშაოები უკვე დასრულებულია.**

**საქართველოს რკინიგზაზე მოძრაობა სრული დატვირთვით აღდგა.**

**ტროტილი სადგურში გუშინ გამთენიისას იპოვეს.**

**სპეცსამსახურები მთელი ღამის განმავლობაში შემთხვევის ადგილზე მუშაობდნენ.**



**სარკინიგზო ლიანდაგის გარდა ასევე შემოწმებულია მიმდებარე ტერიტორია.**

**საეჭვო მოწყობილობა სადგურზე ერთ-ერთმა ადგილობრივმა შენიშნა და სამართალდამცველებს აცნობა.**

## დააკავეს ჯანდაცვის სამინისტროს თანამშრომლები

**კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის თანამშრომლებმა საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს სოციალური მომსახურების სააგენტოს სამეგრელოს რეგიონული ცენტრის წარმომადგენლები დააპატიმრეს.**

**დაკავებულები არიან „ლიბერთი ბანკის“ თანამშრომლებიც.**

**— კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის თანამშრომლებმა ჩატარებული ოპერაციის შედეგად დავაკავეთ: საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს სოციალური მომსახურების სააგენტოს სამეგრელოს რეგიონული ცენტრის განყოფილების უფროსი დავით გახარია, ამავე განყოფილების თანამშრომელი გელა ნაჭყებია, „ლიბერთი ბანკის“ თანამშრომლები ვახტანგ ჩიტაია, ვარლამ სახურია, ლეილა მიქავა, ფრიდონ ჩიტაია და ბეჟან პაპავა. მათ უკანონოდ მიითვისეს პენსიონერებისათვის განკუთვნილი 95 ათასი ლარი, — აცხადებს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე იოსებ თოფურიძე.**

ჯი-ეიჩ-ენი

სამხედრო ექსპერტი



**ინტერვიუ გიორგი თავდგირიძესთან**

# „საქართველომ, შესაძლოა, გადასატანი ჰაერსაწინააღმდეგო კომპლექსის შესყიდვის ლიცენზია მოიპოვოს“

**— ბატონო გიორგი, ვაშინგტონში აშშ-საქართველოს სტრატეგიული თანამშრომლობის ქარტიის ფარგლებში გაწეული სამუშაოების წლიური შემაჯამებელი შეხვედრა გაიმართა. მხარეებმა კომენტარები უკვე გააკეთეს. აშშ-ის ელჩმა საქართველოში ჯონ ბასმა ნატო-საქართველოს ურთიერთობებზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ „უკვე ზაფხულში გავხდებით მოწმე იმისა, რომ ალიანსი მთელი რიგი საშუალებებით დაუჭერს მხარს საქართველოს მისწრაფებას, გახდეს ნატოს წევრი“. თქვენი აზრით, რა ნაბიჯებზე შეიძლება, იყოს საუბარი?**

— ვფიქრობ, შტატების ადმინისტრაციაში და ნატოში რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის დარეგულირების საკითხზე სერიოზული მსჯელობა მიდის. ამის თქმის საფუძველს არა მხოლოდ ბასის, არამედ ნატოს გენმდივნის ანდერს ფოგ რასმუსენის მიერ საქართველოში ვიზიტის დროს კონფლიქტთან დაკავშირებით გაკეთებული განცხადებაც მაძლევს. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ამ საკითხს დასავლეთის მხრიდან დიდი ყურადღება დაეთმობა და შესაძლოა, გარკვეული კონკრეტული ნაბიჯებიც გადაიდგას. თუმცა ერთია, რას აპირებს დასავლეთი და მეორე – რა თანმხვედრ ნაბიჯებს გადადგამს რუსეთი და ჩემი აზრით, ეს შეიძლება, კონფლიქტის დაკონსერვება უფრო იყოს, ვიდრე საბოლოო მოგვარება. საქართველო ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის გარეშე ნატოში ვერ შევა და ეს ყველაფერი გარკვეულწილად იმას ნიშნავს, რომ კონფლიქტის მოგვარება ხანგრძლივ პერსპექტივაში გადავა. საქართველოსთვის დღეს რეალურად პრიორიტეტული არა ნატოში გაწევრება, არამედ დასავლეთთან თანამშრომლობაა, რათა ქვეყანა გაძლიერებული, სრულუფლებიანი წევრის სახით დაჯდეს მოლაპარაკების მაგიდასთან და საკუთარი პოზიციისა და პრეტენზიების წამოყენება შესძლოს.

**— თქვენ დასავლეთთან თანამშრომლობა ახსენეთ. ვაშინგტონში მიმდინარე შეხვედრაზე ორ ქვეყანას შორის თავდაცვის სფეროში თანამშრომლობაზეც მსჯელობენ. კერძოდ, აშშ-ში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის ბათუ ქუთელიას განმარტებით, ამ კუთხით შეხვედრაზე საუბარი იყო „საქართველოს ლეგიტიმურ უფლებაზე, ჰქონდეს თავდაცვისუნარიანობა და ის აღჭურვილობა, რაც თავდაცვისუნარიანობისთვის სჭირდება“. თქვენი აზრით, კონკრეტულად რა სახის თანამშრომლობაზე შეიძლება იყოს საუბარი ამ მიმართულებით?**

— თუ ეს „ჰაერზე გაკეთებული“ განცხადება არ არის, შეიძლება, ვიფიქროთ, რომ მიდის მუშაობა, რათა გარკვეული შეიარაღების შეძენის ლიცენზიები მივიღოთ, რასაც შემდგომ ამერიკის მხრიდან ამ შეიარაღების ათვისებისა და დანერგვის საქმეში დახმარება მოჰყვება. საუბარია შეიარაღების იმ კატეგორიაზე, რომელიც არცთუ ისე ძვირია, თუმცა საკმაოდ ეფექტიანი. თუ ეს გარღვევა მართლაც მოხდა და ლიცენზია მივიღეთ, ეს თავდაცვისუნარიანობის გაუმჯობესების მიმართულებით გადადგმული ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება. მართალია, ამას რამდენიმე თვე სჭირდება, მაგრამ ეს პროცესი მალევე უნდა დაიწყოს, რადგან მშვიდობიანი დრო მცირდება. ასევე მნიშვნელოვანია ნატოსა და ამერიკის დახმარება და მათთან თანამშრომლობის გაღრმავება შეიარაღებული ძალების რეფორმირების კუთხით, თუმცა თუ ამ თანამშრომლობას ანდრინდელივით ბოლომდე არ გამოვიყენებთ და შუა გზაში დავტოვებთ, ეს წლებიც წყალში ჩაიყრება.

**— კონკრეტულად რა კატეგორიის შეიარაღებას გულისხმობთ, რომლის შეძენაზეც, თქვენივე თქმით, შესაძლოა, ლიცენზია მივიღოთ?**

— პირველ ეტაპზე საუბარია გადასატან ჰაერსაწინააღმდეგო პერსონალურ კომპლექსზე, როგორიცაა, მაგალითად, „სტინგერი“ და სხვა მსგავსი კომპლექსები, ასევე ტანკსაწინააღმდეგო კომპლექსებზე. საქართველოს მაღალტექნოლოგიური, ძვირადღირებული სისტემების შეძენის პრობლემა არ აქვს, თუმცა ამ ეტაპზე საუბარი შეიძლება, მხოლოდ ზემოხსენებულ კომპლექსებზე მიდიოდეს. ამის შემდეგ კარგი იქნება, თუ სხვადასხვა ერთობლივი პროექტებიც გვექნება და საბოლოოდ ეს ყველაფერი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის გაზრდას მოხმარდება.

**— თუ მსგავსი შეიარაღების შეძენის ლიცენზია მართლაც მივიღეთ, რა რეაქცია ექნება რუსეთს, იმის გათვალისწინებით, რომ ეს საქართველოს თავდაცვისუნარიანობის გაუმჯობესებას შეუწყობს ხელს?**

— რუსეთის მხრიდან რეაქცია უკვე არის: მას ოკუპირებული აქვს ჩვენი ტერიტორიები და მცოცავ ანექსიას აგრძელებს. ჩვენი ამოცანაა, მშვიდობიანი დრო მოვიგოთ და დასავლეთთან თანამშრომლობა გავაღრმავოთ, რათა არსებული საფრთხეების ფონზე ომის განახლების ალბათობა შემცირდეს. ეს ალბათობა კი მით უფრო შემცირდება, რაც უფრო აქტიური იქნება დასავლეთთან თანამშრომლობა. ჩვენ უნდა დავანახოთ რუსეთს, რომ საკადრისი პასუხის გაცემა შეგვიძლია, ანუ, როცა მოწინააღმდეგე გემუქრება, უნდა აიძულო, მოლაპარაკების მაგიდასთან დაჯდეს, უნდა დაანახო, რომ შენი შეიარაღება იზრდება. ძახილი იმისა, რომ „ომი არ გვინდა“, გვიანია, რადგან ომში უკვე ვართ ჩართულები და ჩვენი ამოცანა ახლა ის უნდა იყოს, რომ ეს ომი ღირსეულად დავასრულოთ. საქართველომ უნდა დაანახოს რუსეთს, რომ მზადაა, დიპლომატიური მეთოდებით დაწყებული, შეიარაღებული ძალების გამოყენებით დამთავრებული, აღადგინოს და დაიცვას საკუთარი ტერიტორიული მთლიანობა და სუვერენიტეტი. მართალია, სამხედრო პოტენციალის გამოყენება ყველაზე ბოლო ვარიანტი უნდა იყოს, მაგრამ ჩვენი მხრიდან ამის მზაობაც უნდა არსებობდეს. შეიძლება, ხელისუფლებამ ამაზე ხმამაღლა არ ისაუბროს, თუმცა განწყობა სწორედ ამ ყველაფრის მზაობის დაფიქსირება უნდა იყოს. კიდევ ერთხელ ვამბობ: ჩვენ უნდა მოვიგოთ დრო, რათა მოვემზადოთ. თუ ეს ხელისუფლება რუსეთის მიმართ პრინციპული არ იქნება, გამოჩნდება სხვა ხელისუფლება, რომელიც სწორედ ამ დაპირებით მოვა. ეს უნდა იყოს უწყვეტი ციკლი: მომზადებით და მზაობის დაფიქსირებით მოქმედმა ხელისუფლებამ საფუძველი უნდა ჩაუყაროს იმას, რომ თუ თავად ვერა, შემდგომმა ხელისუფლებამ მაინც მოახერხოს ამის გაკეთება.



**ლევან სულაშვილი**

სამხრეთ საქართველოს პრობლემატიკა

# აფხაზეთი იყო საქართველოს შემადგენლობაში და, შესაძლოა, ისევ დაბრუნდეს, თუმცა ამ ეტაპზე ამაზე საუბარიც კი არ ღირს

***გვესაუბრება რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი, პოლიტიკური კვლევების ინსტიტუტის დირექტორი, პოლიტოლოგი სერგეი მარკოვი***



**— იმის მიუხედავად, რომ რუსეთის ხელისუფლებამ ჩრდილოეთ კავკასიაში კონტრტერორისტული ოპერაციის დასრულების შესახებ განაცხადა, რეგიონში სტაბილური სიტუაცია აშკარად არ არის და აფეთქებები გრძელდება. თქვენ როგორ შეაფასებდით ჩრდილოეთ კავკასიაში არსებულ სიტუაციას?**

— 1990-იანი წლების შემდეგ ჩრდილოეთ კავკასიაში ჩეჩენ სეპარატისტებთან დაკავშირებით სერიოზული პრობლემები გაჩნდა. ამ პრობლემის გადაჭრა ერთდროულად სამხედრო, პოლიტიკური და ეკონომიკური გზით მოხერხდა. მკაცრი სამხედრო ხაზი ე.წ. იჩქერიის სამხედრო ქვედანაყოფების განადგურებას ითვალისწინებდა. 1996 წელს, როდესაც ბოევიკებმა გროზნო მიიტაცეს, შეიარაღებულმა ძალებმა ისინი ალყაში მოაქციეს და სამხედრო სტრუქტურის მაშინდელი ხელმძღვანელი კონსტანტინე კულიკოვსკი მათი განადგურების წინადადებით გამოვიდა: „ჩვენ ისინი ალყაში გვყავს მოქცეული, გავანადგუროთ და ამით ისინი ეკონომიკურად 80%-ით განადგურდებიან“. თუმცა მაშინ ამის გაკეთება პოლიტიკური მიზეზების გამო ვერ მოხერხდა.

**— თქვენ იჩქერიის ხელისუფლებას „ეგრეთწოდებულად“ მოიხსენიებთ, თუმცა რუსეთის მაშინდელმა ხელმძღვანელობამ მისი ლეგიტიმურობა აღიარა...**

— დიახ, ეს მოლაპარაკებებისა და „ხასავიურტის შეთანხმების“ გაფორმების შემდეგ მოხდა, რომელსაც მე მიუნჰენის ხელშეკრულებას შევადარებდი. შემდეგ ჩვენ იჩქერიის რეჟიმის ლეგიტიმურად ცნობის გზით წავედით. ვიმედოვნებდით, რომ მასხადოვი, რომელიც ჩვენ პრეზიდენტად ვაღიარეთ, სიტუაციის კონტროლქვეშ აყვანას შეძლებდა და შემდეგ მასთან სხვადასხვა საკითხზე მოლაპარაკებას შევძლებდით. თუმცა, გაირკვა, რომ მასხადოვი იმ მდგომარეობაში არ იყო, რომ სიტუაცია ემართა. უკონტროლო ვითარება სხვა რესპუბლიკებზეც გავრცელდა, კერძოდ, დაღესტანში თავდასხმები გახშირდა და უკვე მეტ-ნაკლებად გასაგები გახდა, რომ დაიწყო ომი. დღეს ჩეჩნეთის და რუსეთის ხელისუფლებები რესპუბლიკის ეკონომიკური აღორძინების კურსს ატარებენ. რუსეთის რესურსების დიდი ნაწილი ჩეჩნეთის ნორმალური ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების აღორძინებისკენაა მიმართული. შედეგიც გვაქვს. შეგვიძლია, ამერიკელებისთვის სემინარები გავმართოთ იმის შესახებ, როგორ უნდა მოიგონ სამოქალაქო ომი და გაატარონ ომის შემდგომი სიტუაციის დარეგულირების პოლიტიკა.

**— მართლაც თვლით, რომ ჩეჩნეთში ყველაფერი კარგადაა და პრობლემები აღარ არსებობს?!**

— არა, პრობლემა, რა თქმა უნდა, არის. ომში სეპარატისტების დამარცხების შემდეგ ჩვენ ახალ პრობლემას წავაწყდით – ისლამურ ტერორიზმსა და რადიკალიზმს. იმ დროს ეს საკითხი, ასე ვთქვათ, „გავატარეთ“, რადგან ვთვლიდით, რომ ჩეჩნეთის ტერიტორიაზე მათი მთავარი ბაზების განადგურებით ამ საფრთხეს შევამცირებდით და სიტუაცია თავისთავად დალაგდებოდა. უკვე დაწყებული იყო სახელმწიფო სოციალური ინსტიტუტების აღდგენა, თუმცა აღმოჩნდა, ჩვენ რადიკალური ისლამის სოციალური ფესვები სათანადოდ ვერ შევაფასეთ და იგი ბაზების გარეშეც მარტივად ვითარდება. გაირკვა ასევე, რომ მან საკუთარი სოციალური ფესვები მაქსიმალურად აამოქმედა და ტერორისტული იატაკქვეშეთი ჩამოაყალიბა, რომელიც უკვე მუდმივი ბაზების გარეშეც წარმატებით აგრძელებდა მოღვაწეობას. ასე ჩაეყარა საფუძველი პარტიზანულ ომს, ჩვენ კი მისი სახით უკვე სულ სხვა, ახალი მოწინააღმდეგე მივიღეთ; თუ ადრე ჩეჩნურ ნაციონალიზმს ვებრძოდით, დღეს რადიკალური ისლამიზმი გვიპირისპირდება, რომლის დამარცხებას, შესაბამისად, ბრძოლის მეთოდების შეცვლა სჭირდება.

**— რას გულისხმობთ „ბრძოლის სხვა მეთოდებში“?**

— მოსკოვის მეტროში განხორციელებული მასშტაბური ტერაქტების შემდეგ პოლიტიკა შევცვალეთ და ეკონომიკურ აღორძინებაზე, სამუშაო ადგილების შექმნაზე, ცხოვრების დონის გაუმჯობესებასა და კორუფციასთან ბრძოლის გააქტიურებაზე დავიწყეთ მუშაობა. ვთვლით, რომ აუცილებელია ასევე ჩრდილოეთ კავკასიის რუსეთის ფედერაციასთან ერთიან კულტურულ სივრცეში ინტეგრაცია. ამ კონტექსტში საჭიროა, გადაილახოს ჩრდილოეთ კავკასიელების გაუცხოება, რადგან ვხედავთ, რომ რუსების ძირითადი ნაწილის ცნობიერებაში მათ მიმართ სერიოზული დაძაბულობა არსებობს.

იხ. 4 გვ.

სამხრეთ საქართველოს პრობლემატიკა

# აფხაზეთი იყო საქართველოს შემადგენლობაში და, შესაძლოა, ისევ დაბრუნდეს, თუმცა ამ ეტაპზე ამაზე საუბარიც კი არ ღირს



(მესამე გვერდიდან)

მე ყოველთვის საკმაოდ მკაცრად აღვნიშნავ, რომ ჩვენ ვალდებული ვართ, კავკასიელები გვიყვარდეს. თუ არ გვიყვარს კავკასიელები, როგორ უნდა ვიცხოვროთ მათთან ერთად?!

**— თქვენ ამბობთ, რომ რუსეთის ხელისუფლება ჩრდილოეთ კავკასიელების გაუცხოებას ებრძვის და ამისთვის ფინანსური რესურსების მნიშვნელოვან ნაწილს ხარჯავს. ამ ფონზე ალბათ, უცნაური შეიძლება ეწოდოს იმ ფაქტს, რომ სახელისუფლებო მედიასაშუალებები დღემდე ყველა ბოროტებას კავკასიელებს მიაწერენ... რამდენად რეალურად მიგაჩნიათ, ასეთ პირობებში რუსულმა საზოგადოებამ კავკასიელები შეიყვაროს?**

— საზოგადოებრივი აზრის შეცვლა მარტივი არ იქნება, თუმცა თუ ამ მიმართულებით სწორი, მტკიცე პოლიტიკა გატარდება და ეს პროცესი შესაბამისი რესურსებით იქნება უზრუნველყოფილი, გამარჯვება ჩვენ დაგვრჩება. დღეისათვის ეკონომიკურ პროექტებში რიგი პრობლემები არსებობს. ჩემი აზრით, ახლა ყველაზე მთავარი სამუშაო ადგილების შექმნაა, რისთვისაც სოფლის მეურნეობის აღორძინებაა საჭირო. როდესაც ადამიანი დასაქმებული და დაოჯახებულია, იგი ასეთ ძალებთან თანამშრომლობაზე არ ფიქრობს. ასე რომ, ჩემი აზრით, ტერორიზმს სოფლის მეურნეობის აღორძინება უნდა დავუპირისპიროთ.

გარდა ამისა, როგორც იცით, რუსეთის ხელისუფლებამ ჩრდილოეთ კავკასიაში საკუთარ სრულუფლებიან წარმომადგენლად ალექსანდრე ხლოპონინი დანიშნა. სიმართლე გითხრათ, პირადად ჩემთვის მთლად გასაგები არ არის, როდესაც 21-ე საუკუნის ტიპური წარმომადგენელი იმ რეგიონის კურატორად ინიშნება, რომელიც ჯერ კიდევ XX-XIX საუკუნეებით ცხოვრობს.

**— ზემოთ ბრძანეთ, „ვალდებულები ვართ, კავკასიელები გვიყვარდესო“.... ეს მხოლოდ დღემდე რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში მყოფ ჩრდილოეთ კავკასიურ რესპუბლიკებს ეხებათ, თუ სხვა კავკასიელებსაც? რას ფიქრობთ, მაგალითად, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებზე? ამ ბრძოლაშიც ხომ არ აპირებს რუსეთი მეთოდების შეცვლას?**

— ჩვენ საქართველოს ამჟამინდელ ხელისუფლებასა და ქართველ ხალხს ერთმანეთისგან მკაფიოდ ვყოფთ. ქართველ ხალხთან საუკუნეების მანძილზე ძალიან თბილი და მეგობრული ურთიერთობები გვაკავშირებს. სამწუხაროდ, საქართველოს ხელისუფლება კვლავინდებურად ცდილობს, ცუდი ურთიერთობების პროვოცირება მოახდინოს, ჩვენი ამოცანა კი ის არის, რომ სრულად აღვადგინოთ დიპლომატიური ურთიერთობები, სატრანსპორტო მიმოსვლა და საერთოდ, ურთიერთობების ნორმალიზება მოვახდინოთ. რაც შეეხება აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს, ჩვენ ყოველთვის ვამბობდით, რომ ამ ხალხების განადგურებას არ დავუშვებდით. აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ბედი სწორედ ამ ხალხებმა უნდა გადაწყვიტონ.

**— იგივე ლოგიკით, დამეთანხმეთ, საქართველოს მომავალს, საშინაო და საგარეო პოლიტიკას, ისევე, როგორც ტერიტორიულ საკითხებს საქართველოს მოსახლეობა უნდა წყვეტდეს, როგორც ქვეყნის მთელი ტერიტორიის მეპატრონე, აფხაზეთი და ე.წ. სამხრეთ ოსეთი კი სწორედ საქართველოს ტერიტორიის ნაწილია! ვფიქრობ, ხვდებით, რომ ეს მიდგომა ქართველების მხრიდან არ შეიცვლება, ვინც არ უნდა იყოს ქვეყნის ხელისუფლებაში...**

— ყოველთვის ვამბობდი, რომ ის ქართველები, რომლებიც აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში ცხოვრობდნენ, აუცილებლად უნდა დაბრუნდნენ, თუმცა ეთნიკური ბალანსი არ უნდა შეიცვალოს. აფხაზები აფხაზეთში უმრავლესობაში უნდა იყვნენ. გსურთ მეგობრობა? — ჩვენ ამისთვის ყველაფერს გავაკეთებთ. სწორედ ამის გამო 13 წლის განმავლობაში რუსეთი ყველაფერს აკეთებდა და ატარებდა აფხაზეთის წინააღმდეგ ეკონომიკურ სანქციებს, რათა აფხაზებისა და ქართველებისთვის ერთად ყოფნისკენ ებიძგებინა. რაც შეეხება სამხრეთ ოსეთს, საქართველოს ამ საკითხის მოგვარება ძალიან მარტივად, ყოფითი პრობლემების გადაწყვეტით შეეძლო, თუმცა ამის ნაცვლად, საქართველოს ხელისუფლებამ ის ერთადერთი ბაზარი დაკეტა, რომელიც ოსებს და ქართველებს აერთიანებდა და იმ ტერიტორიაზე სამხედრო დანაყოფები ჩააყენა. ამას დაემატა დროებითი ადმინისტრაციის შექმნის საკითხი, რომელმაც ყველაფერი დაანგრია. არადა, მაშინ რუსეთის ხელისუფლება მზად იყო, საქართველოს ოსებთან შერიგების საქმეში ყველანაირად დახმარებოდა. ახლა რეალობა შეცვლილია: ჩვენ ვამბობთ, რომ მზად ვართ, საქართველოსთან ურთიერთობები გავაუმჯობესოთ, მაგრამ ჩვენ არ ვართ ბაზარში და არც ოსები და აფხაზები არიან ბადრიჯანი და პამიდორი, რომ მათით ვივაჭროთ. რუსი ჯარისკაცები არიან იმის გარანტორები, რომ არც ერთი ერი დამცირებულ მდგომარეობაში არ იქნება. მე ვიტყოდი, რომ ჩვენ გვაქვს იმპერიული აზროვნება, ამ სიტყვის კარგი გაგებით. თქვენ ალბათ, გახსოვთ აჭარის სიტუაცია: ჩვენ ვთქვით, რომ ყველაფერი ხალხის გადასაწყვეტი იყო და მხარი დავუჭირეთ სააკაშვილს, რამდენადაც მაშინ ხალხი სწორედ მას უჭერდა მხარს. ასე რომ ყველა ერი თავად წყვეტს საკუთარ ბედს.

რაც შეეხება საქართველოს მოქმედ ხელისუფლებას, არ მინდა, იფიქროთ, რომ რუსეთში მის მიმართ უსაფუძვლო ზიზღი არსებობს. იმის მიუხედავად, რომ სააკაშვილი სამხედრო დამნაშავეა, არ შემიძლია, არ აღვნიშნო, რომ ამ ხელისუფლებამ სამართალდაცვის სფეროში მშვენიერი რეფორმები გაატარა, ქვეყანაში მნიშვნელოვნად შემცირდა კორუფცია და ის, თუ როგორ მოექცა სააკაშვილი „კანონიერ ქურდებს“, ბევრისთვის კარგი გაკვეთილი უნდა გახდეს. ასევე ვხედავთ, როგორ ვითარდება ზუგდიდი და ამას, რა თქმა უნდა, აფხაზებიც ხედავენ. ასე რომ ჩვენ უმიზეზოდ არავინ გვეზიზღება და პოზიტიურს, თუ ასეთი არსებობს, ნებისმიერის, მათ შორის სააკაშვილის ხელისუფლების ქმედებებშიც ვამჩნევთ.

**— თქვენ აღნიშნეთ, რომ აფხაზებს და ოსებს უფლება აქვთ, თავად აირჩიონ, ვისთან და როგორ სურთ ცხოვრება. ნამდვილად არ ვიქნები პირველი, ვინც ჩეჩნეთთან გაავლებს პარალელს. მოგეხსენებათ, 1990-იანი წლების დასაწყისში ჩეჩნეთში ჩატარდა რეფერენდუმი, რომელზეც ჩეჩენმა ერმა თავისი არჩევანი გააკეთა და ამ საფუძველზე მაშინდელმა ხელისუფლებამ იჩქერიის დამოუკიდებლობა გამოაცხადა. რატომ არ მისცა რუსეთმა ჩეჩენ ერს იმის უფლება, აფხაზებისა და ოსების მსგავსად, თავად გადაეწყვიტა, ვისთან და როგორ ეცხოვრა?**

— პროვოკაციული კითხვაა. უნდა, გითხრათ, რომ ჩეჩნეთის მაშინდელმა ხელისუფლებამ რეფერენდუმი არალეგიტიმური გზით ჩაატარა. რეფერენდუმმა ავტომატებისა და ტანკების თანხლებით ჩაიარა. გირჩევთ, ახლა ჩახვიდეთ ჩეჩნეთში და ჰკითხოთ იქ მცხოვრებ ჩეჩნებს, ვისთან და როგორ სურთ ცხოვრება. ჩეჩენმა ხალხმა გააკეთა თავისი არჩევანი და ჩეჩნეთი ვითარდება. ჩადით გროზნოში და ჩემს სიტყვებში თავადაც დარწმუნდებით.

**— ცნობილმა ქართველმა საზოგადო მოღვაწემ ალექსანდრე ჭაჭიამ ბოლო წლებში არაერთხელ განაცხადა აფხაზეთთან და ე.წ. სამხრეთ ოსეთთან კონფლიქტის დარეგულირების ფარგლებში ახალი ტიპის კონფედერაციის შექმნის აუცილებლობის თაობაზე, რომლის სუბიექტები რუსეთი, საქართველო, აფხაზეთი და ე.წ. სამხრეთ ოსეთიც იქნებოდნენ. თქვენ როგორი დამოკიდებულება გაქვთ ამ იდეის მიმართ?**

— როდესაც ჭრილობა ჯერ კიდევ მოუშუშებელია, აფხაზებთან ამაზე საუბარი ძნელია. მათ ეშინიათ, ამდენად ამ ეტაპზე კონფედერაციის შექმნაზე საუბარი უადგილო და უდროოა. პირადად მე ქართველ პოლიტიკოსებს შევთავაზებდი, თუ სიკეთე უნდათ, 20 წელი აფხაზეთი საერთოდ დაივიწყონ. როდესაც დრო გავა, ეს საკითხი, რა თქმა უნდა, კვლავ დადგება დღის წესრიგში, მაგრამ სხვაგვარად. ჩვენ ხომ მშვენივრად ვიცით, რომ საზღვრები მუდმივი არ არის?! ასე რომ, აფხაზეთი იყო საქართველოს შემადგენლობაში და, შესაძლოა, ისევ დაბრუნდეს, თუმცა ამ ეტაპზე ამაზე საუბარიც კი არ ღირს. ამ ეტაპზე ყველა ვხედავთ, რომ როცა ქართული მხარე ამ საკითხს ყველა მოლაპარაკებაზე ერთ-ერთ მთავარ პირობად აყენებს, მოლაპარაკებები ჩიხში შედის. საერთოდ, ყველას ვურჩევ, სამხრეთ კავკასიის პრობლემატიკას არა XIX, არამედ XX საუკუნის თვალით შევხედოთ. მომავალში შესაძლოა, შევქმნათ კონფედერაცია, რომელშიც შევიდოდა რუსეთიც, საქართველოც, აფხაზეთიც, სამხრეთ ოსეთიც, თურქეთიც, სომხეთიც და აზერბაიჯანიც. შეიქმნას ასეთი აღმოსავლურ-ევროპული ეკონომიკური კავშირი, რომელშიც ასევე შევიდოდნენ უკრაინა, ბელორუსია და ყაზახეთი... დამერწმუნეთ, ამ ქვეყნებიდან ევროკავშირში არც ერთს არ მიიღებენ, რადგან ყველას სხვადასხვა პრობლემა აქვს. ამჟამინდელ ღატაკ უკრაინას, მაგალითად, 50 მლნ ღარიბი ადამიანით ევროკავშირში მიღება ნამდვილად არ უწერია; თურქეთთან დაკავშირებით მუსლიმანური ფაქტორი არსებობს. საქართველოს და აზერბაიჯანს ტერიტორიული პრობლემები აქვთ... ევროკავშირში არც რუსეთს მიიღებენ, მაგრამ რუსეთს გაცილებით დიდი შანსი აქვს ამის, ვინაიდან აქვს ნავთობი და გაზი. თუმცა ჩვენ ერთი რამ გვაერთიანებს — სურვილი, ევროპული ტიპის ინსტიტუტი ავაგოთ და ისეთივე ცხოვრება შევქმნათ, როგორიც ევროკავშირშია.

**— ქართულმა მხარემ რუსეთთან ყოველგვარი წინაპირობების გარეშე დიალოგის დაწყების მზადყოფნის შესახებ არაერთხელ განაცხადა. თქვენი აზრით, რამდენად რეალურია დიალოგის დაწყება?**

— როგორც კი რუსული მხარე რაიმე პოზიტიურ ნაბიჯს გადადგამს, სააკაშვილი მაშინვე პროვოკაციული განცხადებების კეთებას იწყებს და სიტუაციას ამწვავებს. აქედან გამომდინარე, გაუგებარია, ვის ვესაუბროთ. ჩვენ ხომ არ შეგვიძლია, სრულად აღვადგინოთავიამიმოსვლა იმ ქვეყანასთან, რომლის პრეზიდენტსაც ეს არ სურს?! ჩვენ არ გვყავს მომლაპარაკებელი და არა მარტო ჩვენ, - ევროკავშირსაც, რომელიც სააკაშვილის შეცვლაზე ოცნებობს.

> *როგორც კი რუსული მხარე რაიმე პოზიტიურ ნაბიჯს გადადგამს, სააკაშვილი მაშინვე პროვოკაციული განცხადებების კეთებას იწყებს და სიტუაციას ამწვავებს. აქედან გამომდინარე, გაუგებარია, ვის ვესაუბროთ.*

**— მაგრამ ოფიციალური განცხადებების თანახმად, ევროკავშირი საქართველოს ხელისუფლებას როგორც ეკონომიკურად, ისე პოლიტიკურად უჭერს მხარს...**

— არა, ევროკავშირი საქართველოს ხელისუფლებას მხარს არ უჭერს, მას უბრალოდ არ სურს, რუსეთმა სამხრეთ ოსეთის ომში გამარჯვებულად იგრძნოს თავი.

**— და პირადად თქვენი აზრით, რუსეთი ამ ომში მოგებულია?**

— დიახ, ყველა ხვდება, რომ რუსეთი მოგებულია. ომის შემდეგ რუსეთი სხვა გეოპოლიტიკურ საფეხურზე გადავიდა. პირველ რიგში, მან თქვა: „ჩვენ ვრისკავთ ომით, მომავალშიც უკან არ დავიხევთ და თუ გსურთ, რუსეთმა მომავალშიც უკან დაიხიოს, იქნება ომი — დიდი ომი“.

**— 2013 წელს საქართველოში საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდება. დავუშვათ, შეიცვლება სააკაშვილი და მოვა სხვა პრეზიდენტი, მაგრამ საქართველოს საგარეო პოლიტიკა სავარაუდოდ, არ შეიცვლება, რამდენადაც ქართველმა ხალხმა გააკეთა თავისი არჩევანი — ევროსტრუქტურებში ინტეგრაცია. თუ შეიცვლება ასეთ შემთხვევაში საქართველოს მიმართ რუსეთის დამოკიდებულება?**

— რა თქმა უნდა, შეიცვლება. ჩვენ გვექნება საშუალება, მოლაპარაკებების მაგიდასთან დავსხდეთ. ამის შესაძლებლობა სააკაშვილის დროსაც არის, მაგრამ ჩვენმა ამერიკელმა მეგობრებმა უნდა უთხრან სააკაშვილს, „კაპიკს ვერ მიიღებ, ვიდრე საკუთარი მინისტრების გუნდს არ უბრძანებ, რუსეთთან ურთიერთობები მოაწესრიგონ“.

**— სააკაშვილმა ეს გუნდს უკვე დაავალა და საგარეო საქმეთა მინისტრმა გრიგოლ ვაშაძემ არაერთხელ განაცხადა კიდეც რუსეთთან მოლაპარაკებების დაწყებისთვის მზადყოფნის შესახებ...**

— ესე იგი, სააკაშვილმა მართლაც დაავალა გუნდს? ჩვენ მზად ვართ, ვისაუბროთ მინისტრებთან, მაგრამ სააკაშვილთან ერთ მაგიდასთან ყოფნა უბრალოდ არ გამოვა.

**— ანუ მზად ხართ, სააკაშვილის ხელისუფლების მინისტრებთან მოლაპარაკებები დაიწყოთ?**

— მინისტრებთან, როგორც უკვე გითხარით, მზად ვართ, ვისაუბროთ.

**ლევან ჭითანავა,**
სააგენტო „პირველი“

# გუშინდელი არასრულწლოვანი - დღევანდელი მშობელი

განსჯა

**წყალტუბოში შემთხვევითმა გამვლელებმა აღმოაჩინეს დამწვარი და დანაწევრებული გვამი. როგორც შემდეგ გაირკვა, გარდაცვლილი ადგილობრივი ვალერი ჯიმშელეიშვილი იყო.** მეზობლებმა მიყრილ-მოყრილი ძვლები შეაგროვეს და პოლიცია გამოიძახეს. ექსპერტიზამ დაადგინა, რომ ჯიმშელეიშვილს მუცელი ჰქონდა გამოფატრული. კვალის დაფარვის მიზნით ბოროტმოქმედებმა გვამი დაწვეს. გამოჩნდნენ თვითმხილველებიც, რომელთაც დაინახეს ორ თანატოლთან ერთად ტყისაკენ მიმავალი აწ უკვე გარდაცვლილი. მკვლელების ვინაობა დადგენილია. ჯიმშელეიშვილი 14 წლისა იყო!

## „ვარდებით" მოფენილი ცხოვრება

**ხელისუფლებაში გუშინდელ არასრულწლოვანთა მოსვლის შემდეგ, თანდათანობით იწყო როგორც საერთო კრიმინალური ვითარების გაუარესება, ისე მოზარდთა დანაშაულის ზრდა.** პირველ ხანებში „ნაციონალები" მიმდინარე მოვლენებს იმით ხსნიდნენ, რომ წინა ხელისუფლებისგან განსხვავებით, არ იმალებოდა არც ერთი დანაშაული. ამის გამო გაუარესდა სტატისტიკური მაჩვენებლები. მაგრამ ნელ-ნელა შსს ჩაიკეტა, ინფორმაციების მიღება შეუძლებელი გახდა. მხოლოდ აქა-იქ გაჟონილსა და ექსპერტების უხეშ გათვლებზე თუ შეიძლებოდა დაყრდნობა. სიტუაცია ამ მხრივ სტაბილურია დღესაც.

შსს არასრულწლოვანთა დანაშაულს მალავს. მხოლოდ ახლახან გამოქვეყნდა 6 თვის მაჩვენებლები. მიუხედავად დიდი მცდელობისა, სამართალდამცავები იძულებული არიან აღიარონ მოზარდთა დანაშაულის მატება. აქვე ექსპერტები იმაზეც მიუთითებენ, რომ მერაბიშვილის უწყებამ გამოაქვეყნა მშრალი სტატისტიკა, მასში არ არის გაანალიზებული (როგორც ყველგანძ, თუ რა სახის დანაშაულია ყველაზე „პოპულარული" მოზარდთა შორის, მისი გამომწვევი მიზეზები და ა. შ. ვარაუდობენ, რომ ყველაზე ხშირია ქურდობა, ყაჩაღობა და ხულიგნობა. სპეციალისტების მოსაზრებით, მატებაა მძიმე დანაშაულშიც (მკვლელობა, მკვლელობის მცდელობა, სხეულის განზრახ დაზიანებაძ.

დიდუბეში 17-17 წლის მალხაზ დემეტრაშვილმა, გიორგი თამაზაშვილმა და 16 წლის დავით რცხილაძემ ქურთუკის წართმევის დროს გაწეული წინააღმდეგობისას სასიკვდილო ჭრილობები მიაყენეს ნოდარ ბექიაშვილს.

სამჯერ ნასამართლევმა გაიოზ ნოშრევანიძემ და ორჯერ ნასამართლევმა რისმაგ გაჩეჩილაძემ სოფელ აჯამეთში ვალენტინ დათუაშვილის ბინაზე ყაჩაღური თავდასხმის დროს, „საქმეზე" წაიყვანეს 15 წლის ნოდარ ნიშნიანიძე. ოჯახის წევრთა წამების დროს ერთ-ერთ თავდამსხმელს იარაღიდან ტყვია გაუვარდა. ოჯახის უფროსი ადგილზევე გარდაიცვალა. მოზარდი ძალად გაახვიეს შარში!

არასრულწოვანები დანაშაულს სჩადიან არაფხიზელ მდგომარეობაშიც. ერთ-ერთ რესტორანში გოჩა თხილაშვილმა ტუალეტში ყელი გამოჭრა ვაჟა ბაინდურაშვილს. მოკლულიცა და მკვლელიც არასრულწლოვანები იყვნენ.

სპეციალისტთა და ექიმ-ნარკოლოგთა მოსაზრებით, ნარკომანთა მატებასთან ერთად, მნიშვნელოვნად გაახალგაზრდავდა მათი ასაკიც... ანაშას 12-13 წლისანიც ეწევიან. ძლიერ მოქმედ ნარკოტიკულ და ფსიქოტროპულ საშუალებებს 15-16 წლის მოზარდებიც ეტანებიან. მომრავლდა ახალგაზრდა ტოქსიკომანთა რაოდენობა.

ქუჩაში დარჩენილი მოზარდები სერიოზულ ზეწოლას განიცდიან უფროსი თაობის კრიმინალთა მხრიდან. ეს განსაკუთრებით თვალშისაცემია ქურდბაცაცა და მათხოვარ ბავშვებზე. „შავები" წილში უჯდებიან მათ, ურჩევენ „სარფიან" ადგილებს. დაწესებული ნიხრის შეუსრულებლობისთვის კი სჯიან „ხელქვეითებს", გადაჰყავთ ნაკლებპრესტიჟულ უბნებში. დიდად აღარ იწუხებენ თავს მათზე თანატოლების თავდასხმებისას. მზრუნველობამოკლებული არასრულწლოვანები ადვილად ექცევიან „ავოტრიტეტების" გავლენის ქვეშ და კრიმინალური სამყაროს პოტენციურ ცვლას წარმოადგენენ.

ქუჩის მოყვარული მოზარდები ერთმანეთის მიმართაც იჩენენ აგრესიულობას. გოჩა ქოჩლაძემ და ილო რუსაძემ ვერაფრით ვერ დაიმორჩილეს 14 წლის ვახტანგ კიპაროიძე. არაერთგზის ცემის შემდეგ იგი სასიკვდილოდ დაჭრეს. მოძალადეები 15-15 წლისანი არიან.

## ებრძვიან შედეგებს და არა მიზეზებს

**მოზარდთა შორის დანაშაულის მატებამ, როგორც ჩანს, ძალზე შეაშფოთა „ნაცების" ელიტა პარლამენტის**



**იურიდიული კომიტეტის მაშინდელმა თავმჯდომარის მოადგილემ ნინო კალანდაძემ პარლამენტში შეიტანა კანონპროექტი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისაცემთა ასაკის 14-დან 12 წლამდე დაწევის შესახებ.** როგორც ჩანს „ვარდოსნებში" ჯერ კიდევ შემორჩნენ საღი ძალები, რომლებმაც მოახერხეს, რომ პროექტს კანონის ძალა არ მისცემოდა.

**ნინო შერაზადაშვილი (ფსიქოლოგი):** „იდეა, განსასჯელთა ასაკის დაწევის თაობაზე შეიძლებოდა გასჩენოდათ ისეთ ადამიანებს, რომლებმაც ბავშვობაში განიცადეს მძიმე სტრესი თანატოლების მხრიდან. ეს პიროვნებები დღესაც არ არიან გამოსული სტრესული მდგომარეობიდან და ცდილობენ საკუთარ თავს რაღაც დაუმტკიცონ. ამგვარ პოლიტიკოსებს, მშობლებს (თუ შვილები ჰყავთძ შეიძლება „ბავშვობაში ჩარჩენილები" ვუწოდოთ. ამგვარი სინდრომით დაავადებულნი საზოგადოებისთვის, ახლობლებისთვის, თვით საკუთარი შვილებისთვისაც კი, უაღრესად საშიში არიან".

კალანდაძის პირით მოლაპარაკე „ბავშვობაში ჩარჩენილებმა" ვერ გაიტანეს რა თავიანთი წინადადება საკანონმდებლო ორგანოში, მთელი ზეწოლა პროკურატურასა და სასამართლოზე განახორციელეს. დაიწყო არასრულწლოვანებისთვის უმკაცრესი განაჩენის გამოტანა.

14 წლის ზერეკიძეს დისტრიბუტორისთვის მიყენებული მსუბუქი ჭრილობისთვის 10 წლით პატიმრობა მიუსაჯეს.

4 წლით პატიმრობა მიუსაჯეს გაუპატიურებულ გოგონას (გვარს შეგნებულად არ ვასახელებთძ. მიზეზი ცრუ ჩვენების მიცემა იყო. არადა, გაუპატიურებაში მონაწილე ოთხივე პირი დაკავებულია და სასჯელს იხდის.

გურჯაანელმა 14 წლის გიორგი ბერიშვილმა მეზობლის ნანა ხაჩიშვილის ეზოდან უნებართვოდ გაიტანა საბავშვო ეტლი. პოლიციამ იგი ოპერატიულად „ფაქტზე" დააკავა. მოზარდი თავის ავადმყოფ 5 წლის ძმას ასეირნებდა. ბერიშვილის დედას გირაოს სახით 4 ათასი ლარი მოსთხოვეს. ბიჭი ფაქტობრივად ციხისთვის გასწირეს. მოსამართლემ და პროკურორმა არ გაითვალისწინეს, რომ დაკავებული მამით ობოლია. ჰყავს დედმამიშვილი, რომელთაც დედასთან ერთად თავისი შრომით არჩენს. რაც შეეხება დაზარალებულ ხაჩიშვილს, მას სასჯელით ემუქრებიან თუ მეზობლის სასარგებლოდ შეცვლის ჩვენებას.

## რას ფიქრობენ სპეციალისტები

**ალისა ნადარაია (პედაგოგი): „მოზარდზე კონტროლის დაკარგვა ძირითადად სკოლასა და ოჯახს შორის კონტაქტის დაკარგვითაა განპირობებული. ბევრი მშობელი ლუკმაპურის საშოვნელად დილიდანვე გადის სამსახურში და გვიან ღამით ბრუნდება.** ეს მხოლოდ შეჭირვებულ ოჯახებს არ ეხებათ. მოზარდთა დიდი ნაწილის დედა და მამა იმავე მიზეზით საზღვარგარეთ არიან. მოუცლელობის გამო ბევრი მშობელი სკოლაში კრებებზე ვერ დადის. მათ არ იციან შვილების სამეგობრო წრე. ზოგიერთები არად დაგიდევენ, რომ მათი შვილები ღამის 2-3 საათამდე, ან სულაც მთელ ღამეს საეჭვო რეპუტაციის კლუბებში ატარებენ. ეს დაწესებულებები არ მოწმდება. ბავშვებს ადრეული ასაკიდან აკლიათ მშობლის სითბო და ალერსი. აქედან მომდინარეობს ის აგრესია, რასაც მოზარდებში ვაწყდებით ქუჩებსა და სკოლებში. ხელისუფლებამ პედაგოგის პრესტიჟი დასცა. სასწავლო დაწესებულებებში მოშლილია დისციპლინა, უწყვეტი სასწავლო კურსი. სკოლებში ვიდეოთვალის დამონტაჟება და მანდატურების დანიშვნა ბავშვების აღზრდას ვერ გააუმჯობესებს. ახალგაზრდა პედაგოგები არ ინტერესდებიან თავიანთი აღსაზრდელების სკოლისგარეთა ცხოვრებით, სოციალური და ოჯახური პირობებით. დღეს ბევრი რამ არის საფუძვლიანად შესაცვლელი ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში, რადგანაც მოზარდი ფაქტობრივად ბედის ანაბარადაა მიტოვებული".

**ნოდარ ნაგროზაშვილი (ყოფილი უბნის ინსპექტორი):** „ჩვენი სამსახური არც თავიდან ყოფილა პრივილეგირებული, ხელისუფლების შეცვლის შემდეგ კი საერთოდ გააუქმეს. ამით თვით ოპერატიულ სამსახურებს მოაკლეს ინფორმაციის წყარო ძნელადაღსაზრდელების, უმეთვალყურეო და კრიმინალური სამყაროსადმი მიდრეკილების მქონე მოზარდებზე. გაუაზრებლად დახურეს ყურადღებამოკლებულ და მაწანწალა ბავშვთა მიმღებ-გამანაწილებლები. უაზრო გადაწყვეტილების შედეგები რომ მოიმკეს, მხოლოდ ახლა აღადგინეს. რაც შეეხება კაფე-ბარებს, ეს კერძო სტრუქტურებია და იქ სპეციალური ნებართვის გარეშე ვერც ერთი სამართალდამცავი ვერ შევა!

## ციხეში მოხვედრამდე და გისოსებს მიღმა

**დღეს ჩვენს ქვეყანას პირველი ადგილი უჭირავს მთელს ევროპაში განსასჯელ არასრულწლოვანთა რაოდენობით.** თავისუფლების დროებით (თუ განუსაზღვრელი ვადითძ აღკვეთის ადგილებში იმდენი ადამიანია მოთავსებული, რომ ვერ ხერხდება მოზარდების ცალკე საკნებში განთავსება. არადა, გაეროს 1966 წლის პაქტით ამგვარი რამ სასტიკად იკრძალება. ჩვენც, როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოს, ამ დოკუმენტზე ხელი გვაქვს მოწერილი.

იმ დრომდე, ვიდრე ბაჩო ახალაია ციხე-კოლონიებში მონიტორინგის ჯგუფის წევრების შესვლას აკრძალავდა, არასამთავრობოებმა საინტერესო გამოკვლევა ჩაატარეს. გაესაუბრნენ ეჭვმიტანილის სტატუსით ახლადმოყვანილ არასრულწლოვანებს. მასთან შეხვედრა შედგა ორი თვის შემდეგაც, მას მერე, რაც იგი საკანში სრულწოვანებთან მოათავსეს. აღმოჩნდა, რომ მოზარდს მოსვირინგებული ჰქონდა მთელი ტანი, შეცვლილი ჰქონდა მენტალიტეტი, თუმცა უკეთეს შედეგებს, არც არასრულწლოვანების ცალკე საკანში მოთავსება იძლევა. ტუსაღ მოზარდებში ღრმად არის გამჯდარი ქურდული გაგება. ზუგდიდის იზოლატორში ველოსიპედის ქურდობისთვის მოხვედრილი დავით ზარანდია „კამერის მაყურებელ" ირაკლი თელიას თვალში არ მოუვიდა. სცემა, შემდეგ კი თანამოსაკნეთაგან მოითხოვა მისთვის ყველას დაერტყა. ყველამ შეასრულა ბრძანება გარდა ალექსანდრე კოვალჩუკისა. მთელი აგრესია მასზე გადავიდა. ორ თანატოლს ყოველდღე სცემდნენ, ღამე არ აძინებდნენ, იატაკზე წყალს უსხამდნენ და შიგ ჩაწოლას აიძულებდნენ. რამდენიმეჯერ იძულებით საპონი შეაჭამეს, წყალს ასმევდნენ ბინძური კასრიდან. აუტანელ პირობებში ჩავარდნილებმა საშველად მშობლებს მიმართეს. დაჩაგრულები სხვა საკანში გადაიყვანეს. „ქურდული ტრადიციის" მატარებლებზე სისხლის სამართლის საქმეები აღიძრა.

სასჯელის მომლოდინე მოზარდები თვეობით ელიან განაჩენს (უმეტეს შემთხვევაში გამამართლებელსძ, ვერა და ვერ მოგვარდა არასრულწლოვანთა იუვენალური სასამართლოების საკითხი. მოზარდებისა და ზრდასრულების საქმეებს ერთი და იგივე მოსამართლეები იხილავენ. უკვე მსჯავრდებულ ახალგაზრდებს უფროსების მსგავს პირობებში უხდებათ ცხოვრება. მძიმე საყოფაცხოვრებო, სანიტარიული და ჰიგიენური პირობები, რასაც ემატება არაკალორიული კვება და პროდუქტების გარედან მიწოდების აკრძალვა. მედიკოსები თვლიან, რომ მსგავს პირობებში მცხოვრები არასრულწლოვანები პოტენციური „ტუბიკები" არიან. ფსიქოლოგ ნანა ღვამიჩავას მიაჩნია, რომ ამხელა სტრესის შემდეგ მოზარდი, საზოგადოებას არა გამოსწორებულ პიროვნებად უბრუნდება, არამედ ფარული აგრესიის მატარებლად და საზოგადოებისთვის საშიშ პიროვნებად!

**ზაზა ბილიხოძე**

გადავარჩინოთ ქართული ენა

## ბოლოს და ბოლოს ნავსი უნდა გატყდეს!

### ღია წერილი საქართველოს პარლამენტის განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეს ბატონ თამაზ კვაჭანტირაძეს

ბატონო თამაზ,

უდიდესი კმაყოფილებით აღვნიშნავ, რომ ჩვენმა ბოლო პირისპირ შეხვედრამ თქვენს სამუშაო კაბინეტში და ჩემს მიერ გამოქვეყნებულმა არაერთმა პუბლიკაციამ („პრობლემა ნომერ პირველი", თბილისი, 2006 წ., „ოღონდ ქართულად ვილაპარაკოთ" — გაზ. „ლიტერატურული საქართველო", 28/09/07; „გადავარჩინოთ ქართული ენა" — „საერთო გაზეთი", 28/04/09; „ვაითუ ჩვენი ენა ქართული, ისტორიის კუთვნილება გახდეს" — გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 07.01.10) თავისი შედეგი გამოიღო, ანუ გვირაბის ბოლოს შუქი გამოჩნდა, რაც გუშინწინ შევიტყვე ტელევიზიით.

გახსოვთ ალბათ თქვენდამი ჩემი დაჟინებული, ოფიციალური მომართვა-თხოვნა:

„გამოიყენეთ თქვენი ავტორიტეტი, გამოცდილება და თანამდებობრივი მდგომარეობა და სასწრაფოდ შეკრიბეთ ქართული ენის გულანთებული ქომაგების მუშა ჯგუფი და მათი მონაწილეობით, რაც შეიძლება ოპერატიულად შეადგინეთ ქართული ენის გადარჩენის სახელმწიფო პროგრამა (თუ საჭიროდ ჩათვლით, მეც მიგულეთ თქვენს გვერდით). პრობლემის გადადება აღარ შეიძლება! წინააღმდეგ შემთხვევაში ჩენი წინაპრების მრავალსაუკუნოვანი თავგანწირვა და დღევანდლამდე მოტანილი ჩვენი ენა ქართული ისტორიის კუთვნილება გახდება! პრობლემის გადაწყვეტა დახანებას არ ექვემდებარება, რასაც ხაზგასმით ბრძანებს თავის საშობაო ეპისტოლეში უწმინდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე".

პრობლემა კი უფრო აქტიური გახდა დღეს, საქართველოს ინგლისურენოვან ქვეყნად გამოცხადების კვალობაზე!

მივესალმებით „დედაენის საზოგადოების" დაფუძნებას!

ღმერთმა მოგცეთ ენერგია ქართული ენის გადარჩენის უდიდეს საშვილიშვილო საქმეში.

**ანზორ ბაბუხადია,**
საქართველოს დამსახურებული ეკონომისტი, ღირსების ორდენის და იაკობ გოგებაშვილის მედლის მფლობელი

ინფორმაცია

## „ვარსკვლავთცვენა" ბათუმში

**აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის, აჭარის ტურიზმის სააგენტოს და ასოციაცია გლობალ სტარის ორგანიზებით, გლობალ სტარის აუდიტორებმა განახორციელეს რეგიონში მოქმედი 17 სასტუმროს შემოწმება ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.**

**აუდიტის შედეგად, მოთხოვნები დააკმაყოფილა რვა განთავსების ობიექტმა. იმ სასტუმროთა წარმომადგენლებს, რომლებმაც წარმატებით გაიარეს შეფასება, გადაეცათ შესაბამისი კატეგორიის დამადასტურებელი სერტიფიკატები.**

ჯი-ეიჩ-ენი

## ნობელი – 2010

# იუმორის გრძნობითა და ცნობისმოყვარეობით

## ანუ შნობელიდან ნობელამდე

**მეცნიერულმა რუსეთმა კვლავ მსოფლიოს გასაგონად დაიქუხა ორი „გაშვებული“ მკვლევარის – ანდრეი გეიმისა და კონსტანტინ ნოვოსელოვის სახელ-გვარით. რუსეთიდან გამოსულ (როგორც საზღვარგარეთული პრესა მოიხსენიებს) ორ ბრწყინვალე ფიზიკოსს, აწ ბრიტანელ მეცნიერებს, მანჩესტერის უნივერსიტეტის პროფესორებს, 5 ოქტომბერს, სტოკჰოლმში, ნობელის პრემია გადაეცათ ყველაზე პრესტიჟულ ნომინაციაში – ფიზიკაში.**

გეიმი, რუსი ებრაელი, 1958 წელსაა დაბადებული სოჭში; მეცნიერებათა კანდიდატი 1987 წელს გახდა მყარი ტანის ფიზიკის ინსტიტუტში (ქ.ჩერნოგოლოვკა) დისერტაციის დაცვით. ამჟამად ჰოლანდიის მოქალაქე გახლავთ. რუსეთიდან ანდრეიდ გამოსული საზღვარგარეთ ანდრედ იქცა და ანდრე გეიმად გვევლინება.

ნოვოსელოვი სუფთა რუსია, ნიჟნი ტაგილშია დაბადებული 1974 წელს; უცხოეთშიც კონსტანტინ (ჩვენებურად კონსტანტინე) დარჩა, თუმცა უფროსი კოლეგისაგან განსხვავებით მოქალაქეობა ორმაგი აქვს – ბრიტანული და რუსეთული.

ამრიგად, რუსულ ნობელიანტთა საერთო, არცთუ მოკლე სიას კიდევ ორი შეემატა ქვეყნიდან გასულთა სახით. დიდია რუსეთი და „მისცეს“ შვილები დასაკარგავი...



კონსტანტინ ნოვოსელოვი



ანდრე გეიმი

36 წლის ასაკში (ნოვოსელოვი რომაა!) იშვიათად იღებს ნობელის პრემიას ფიზიკაში და მე პირადად ეს რეკორდული ციფრი მგონია ამგვარი კუთხით; ეგ კი არა, 51 წლის ასაკშიც (გეიმის წლოვანება!) იშვიათად ხდება ფიზიკოსის „განობელიანტება“. საგულისყუროა, რომ თვით ნოვოსელოვი, მისივე სიტყვებით, თურმე „შოკირებული“ დარჩა მისთვის და გეიმისათვის ნობელის პრემიის მინიჭების შეტყობინებით. გეიმიც არ ელოდა ეგზომ საპატიო ჯილდოს, როგორც ჟურნალისტებს გამოუტყდა.

ახლა კი დროა იმაზეც ვისაუბროთ, თუ რისთვის მიენიჭათ ესოდენ პრესტიჟული პრემია „რუსეთიდან გამოსულთ“. გრაფენის – ორგანზომილებიანი მასალის, მრავალშროვანი ნახშირბადული ფირის შექმნისთვისო, იუწყება ნობელის კომიტეტი. მანჩესტერის უნივერსიტეტში მოღვაწე გეიმმა და ნოვოსელოვმა შეიმუშავეს სტაბილური ნახშირბადული ნანომასალები, რომელთაც შეუძლიათ მიკროელექტრონიკის საფუძვლად გადაქცევა კაჟბადური ტექნოლოგიების შეცვლით – ასეთია ოფიციალური „ვერდიქტი“.

კომიტეტის პრეს-რელიზში ისიცაა ნათქვამი, რომ გრაფენი პრაქტიკულად გამჭვირვალეა და ჩინებულ გამტარს წარმოადგენს, რისი წყალობითაც შეიძლება გამოყენებულ იქნას სენსორული ეკრანების, სინათლის პანელებისა და ეგებ მზის ბატარეების დამზადებისას.

გეიმსა და ნოვოსელოვს ენამოსწრებულმა კალმოსნებმა უკვე შეარქვეს „გრაფენის ბიჭები“; მაინც რა არის, რა ფერი, იმ ორი „ბიჭის“ გრაფენი? რა და – სასწაული მასალა, რომელიც მართლაცდა ფანტასტიკურ პერსპექტივებს გადაგვიშლის ელექტრონიკასა და სხვა დარგებში; რა და ახალი, უნიკალურთვისებებიანი მასალა. გრაფენი იდეალურად მოერგება სწრაფმოქმედი ტრანზისტორების წარმოებას და მომავალში კაჟბადის გამოდევნა ძალუძს. წლევანდელ თებერვალში უკვე გამოჩენილა რადიოსიხშირეთა დიაპაზონში მომუშავე გრაფენის ტრანზისტორი, ხოლო ივნისში იაპონელმა და სამხრეთკორეელმა მეცნიერებმა მოაწყვეს გრაფენისგან გაკეთებული პირველი სენსორული ეკრანის პრეზენტაცია.

გრაფენი ალმასზე მაგარი და მყარია, მაგრამ რეზინივით იწელება თავისი სიგრძის მეოთხედზე, არ გაუშვებს გაზებსა და სითხეებს, სითბოსა და ელექტრობას სპილენძზე უკეთესად ატარებს. გრაფენის ტრანზისტორები კაჟბადისაზე სწრაფად მუშაობენ, გრაფენით არნახული ექსპერიმენტების მოწყობა შეიძლება კვანტური მექანიკის სფეროში.

თმაზე წვრილი და აბრეშუმზე მსუბუქი, ამასთან არაჩვეულებრივად მტკიცეა ეგ გრაფენი, მისი მესერის ერთი კვადრატული მეტრი მილიგრამზე ნაკლებს იწონის, ამასთან გრაფენისგან „გაკეთებულ“ ჰამაკზე კომფორტულად დაეტეოდა კატა – შენიშნავენ სპეციალისტები.

ინტერესი გრაფენისადმი განუზომელიაო, აღიარებს ჰამბურგის უნივერსიტეტის ერთი პროფესორი – ჩვენთან, გერმანიაში ამ მასალის გამოკვლევის 100-ზე მეტი(!) სამუშაო ჯგუფია დაკავებულიო.

სხვათა შორის, დიდხანს ფიქრობდნენ, რომ ნახშირბადის ატომების ერთეული შრიდან გრაფენის მიღება შეუძლებელია, მაგრამ მანჩესტერის უნივერსიტეტის ლაბორატორიაში ორმა რუსეთელმა ეს მოახერხა რამდენიმე წლის წინათ, თანაც ერთობ მარტივად – ჩვეულებრივი სკოტჩისა და გრაფიტის ნაჭრის დახმარებით, მრავალგზის მიწებების გზით.





„ფიზიკით გატაცების გარდა ანდრე გეიმი მთელი კარიერის მანძილზე ამჟღავნებდა საუცხოო იუმორის გრძნობას, – გვიამბობს ერთი ჟურნალისტი. – 2001 წელს მან გამოაქვეყნა შრომა დედამიწის ბრუნვაზე მოულოდნელ კოლეგასთან, ზაზუნა ტიშასთან თანაავტორობით, ერთი წლით ადრე კი შნობელის პრემია მოიპოვა მაგნიტური ველის გამოყენებისათვის.... ჰაერში ბაყაყების სალივლივოდ. გეიმის აზრით, კარგი მეცნიერი რომ იყო, აუცილებელია, აუცილებელია ორი თვისება: ცნობისმოყვარეობა და იუმორის გრძნობა.

შნობელის პრემია ვახსენეთ – ეს არის „ანტინობელური“ პრემია, რომელიც სწავლულებს ყოველწლიურად მიენიჭებათ იმ მეცნიერული მიღწევებისათვის, ჯერ რომ სიცილს იწვევენ და მერე ჩაფიქრებას გაიძულებენ. „შნობელურას“ დამფუძნებლებმა აღნიშნეს, რომ ფიზიკოსმა გეიმმა სათაკილოდ როდი მიიჩნია დიდი ბრიტანეთიდან ჰარვარდში (აშშ) პრიზისათვის ჩასვლა და მეცნიერულ მეგობრულ წრეში ერთად სიცილი. 2000 წელს შნობელის ჯილდოთი მისთვის პატივისმგებელი როი გლაუბერი 2005-ში ფიზიკაში ნობელის პრემიის ლაურეატი გახდა. ორივე ჯილდოს – ნობელისა და შნობელის მფლობელი კი სულ ორია – ანდრე გეიმი და ბარტ კნოლა...

ვსარგებლობ შემთხვევით, რომ მკითხველს შევახსენო: გამოჩენილი ქართველი მეცნიერი, მსოფლიო სახელის ფიზიკოს-თეორეტიკოსი, აწ განსვენებული აკადემიკოსი ალბერტ (ალეკო) თავხელიძე ორჯერ იყო ნომინირებული ნობელის პრემიაზე, აქედან ერთხელ – ჯგუფის ხელმძღვანელის რანგში. რასაკვირველია, ყოველი მეცნიერისათვის ნობელიანტობის კანდიდატობაც დიდი პატივია. ქართველებს „ნობელის სკოლა“ გასავლელი აქვთ და ვინ იცის, ეგებ უცხოეთში საქართველოსთვის დაკარგულ შვილთაგან რომელიმეს ხვდეს ახლო წლებში ნობელიანტობის დიდება...

ბატონი ალეკოს ხსენებაზე, დეკემბერში, მისი დაბადებიდან 80 წელი სრულდება. მე ვიცი, რომ რუსეთში (მოსკოვში, დუბნაში და სხვაგანაც) ამის აღსანიშნავად უკვე დაწყებულია საკადრისი სამზადისი. დარწმუნებული ვარ, თბილისშიც ჯეროვან პატივს მიაგებენ სახელგანსმენილი მკვლევარის მაღალ სახელს...

**თამაზ ებანოიძე**

## ალიანჩალიანი

### ახალგაზრდა პოეტის წიგნის პრეზენტაცია

სენაკის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრში – სამხატვრო გალერეაში გაიმართა პრეზენტაცია ახალგაზრდა პოეტის მარიამ ნიკოლავას წიგნისა „სადიდებელი წმინდა ალექსი ბერისა (შუშანიასი)“, რომელიც სენაკში მოღვაწე წმინდა ბერის ცხოვრებისა და მოღვაწეობის საგალობელია.

გაიმართა საუბარი ნიჭიერი შემოქმედის ნაწარმოების გარშემო.

დასასრულს შემოქმედებითი წარმატებები უსურვეს პოეტს.

### ახალი საბავშვო ბაღი

სენაკის მუნიციპალიტეტის სამხედრო დასახლების ტერიტორიაზე ახალი თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად აგებული და კეთილმოწყობილი საბავშვო ბაღი გაიხსნა. იგი ააგო ესპანურმა საერთაშორისო ფონდმა ACF-მ, სახალხო უნივერსიტეტთა გერანული ასოციაციის საქართველოს ფილიალის თბილისის ბიუროსთან ერთად. დააფინანსა ევროკომისიამ „დევნილთა სოციალურ-ეკონომიკური ინტეგრაცია სამეგრელო ზემო-სვანეთის რეგიონში“ პროექტის ფარგლებში.

ახალი სააღმზრდელო დაწესებულება საზეიმოდ გაიხსნა, რასაც მრავალი სტუმარი ესწრებოდა.

### მწყობრში ჩადგა მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზია

სენაკში წმინდა ალექსი შუშანიას სახელობის მართლმადიდებელი სკოლა-გიმნაზია გაიხსნა. სენაკისა და ჩხოროწყუს მიტროპოლიტის მეუფე შიოს ინიციატივით, ძირითადად ბიზნესმენ ლევან ვასაძის ფინანსური მხარდაჭერით, თანამედროვე სტანდარტების დონეზე კეთილმოეწყო სკოლა-გიმნაზიის ოთხსართულიანი შენობა. წლეულს გიმნაზიაში ორი პირველი და ერთი მეორე კლასი შეუდგა სწავლას.

ეპარქიამ გიმნაზიის „პირველ მერცხლებს“ სასკოლო ჩანთები, სახელმძღვანელოები და შინდისფერი ჟილეტები გადასცა საჩუქრად გიმნაზიის ლოგოს – ბორჯღალში ჩასმული ხოხბის გამოსახულებით. სკოლა-გიმნაზიაში გაკვეთილები დილით 8 საათსა და 45 წუთზე მოკლე ლოცვით იწყება. პატარები სკოლა-გიმნაზიაში 17 საათამდე დარჩებიან და ექნებათ სწავლის, კვებისა და დასვენების საუკეთესო შესაძლებლობა. აქ შემეცნებითი ჰორიზონტის გაფართოების, სულიერი და ფიზიკური განვითარებისთვის ყოველგვარი პირობებია შექმნილი...

უახლოეს პერიოდში გიმნაზიის ეზოში დასრულდება წმინდა ალექსი ბერის სახელობის ბაზილიკური ტაძრის მშენებლობაც.

**იოსებ გოზეჩია,**
„სრ“ საკ. კორ. სენაკი

## ჩვენ და ტელევიზია

### ტიტრობანა ვერ ამართლებს

**ტელეკომპანიებს, ჩემი შეხედულებით(!) ცოტა როდი აქვთ სასაყვედურო (ხელისუფლებისა და კერძოდ, პრეზიდენტის ფრაკში შეძრომა, არცთუ იშვიათად პოლიტიკური უპრინციპობა, ეკრანული სამეტყველო ენის უმოწყალო დამახინჯება და საერთოდ, მშობლიური ქართულის უპატივცემლობა, საინფორმაციო გადაცემების დასაწყისშივე „ხარება“ ცუდი ამბებისა, ერთმანეთში წამყვანების „ლადაობა“, ეკრანის გამოსერიალება უნიჭო უცხოური და უსასრულო სერიალებით და სხვა); ამჯერად ერთ კონკრეტულ ამბავზე უნდა შევჩერდე.**

ძალიან მიყვარს, როგორც ალბათ არაერთ ტელემაყურებელს, კარგი მხატვრული ფილმების ცქერა (ასე იშვიათი რომ გახადეს სერიალების მოძალებითა და მონოპოლიით); კმაყოფილი და მადლობელი ვარ, როცა სურათები გახმოვანებით მიდის, მაგრამ ტიტრებიდან დემონსტრირებას ვერ მოვიწონებ რამდენიმე მიზეზით: კადრებს ვუყურო თუ ტიტრებს; ზოგჯერ ტექსტის წაკითხვა ვერ ესწრება, ისე ჩქარა ენაცვლება წარწერები ერთმანეთს; ბოლოს, როცა სათქმელი თუ ნათქვამი ბევრია, „შრიფტი“ წვრილდება და წაკითხვა ძნელდება, ანუ, მოდურ ფორმას თუ ვიხმართ, ტიტრი „წაკითხვადი“ არ არის.

მე კარგი, მხედველობადაქვეითებული ხანდაზმული მაყურებელი ვარ, მაგრამ ეგებ ახალგაზრდანი და ქორისთვალანიც შემეურთდნენ ჩემს შენიშვნებს.

...ნეტავ „კურიერის“ ენამოსწრებულ პრესის მიმომხილველს, ოთარ ქირიას მოხვდეს თვალში ეს წერილი და ეკრანიდან „გააქროს“...

**ლუკა გორგაძე**

## ინფორმაცია

### ახალციხეში კათოლიკურ ეკლესიას აღადგენენ

**ახალციხეში მე-19 საუკუნის კათოლიკური ეკლესიის აღდგენა დაიწყო.**

**წმინდა ჯვრის სახელობის ეკლესია ქალაქში მე-19 საუკუნეში დაარსდა, რომელსაც რეკონსტრუქცია ჩაუტარდება.**

**ამასთან, ძველი ტაძრის გვერდით ახალი ეკლესია აშენდება, რომლის ასაშენებლად ქვა საქართველოში კათოლიკური მისიის ხელმძღვანელმა ჯუზეპე პაზოტომ და ქართველმა კათოლიკე მღვდელმა ზურაბ კაკაჩიშვილმა აკურთხეს.**

**ახალი ტაძარი წმინდა ბენედიქტეს სახელობის იქნება და ორივე ტაძრის საფუძველზე კათოლიკური მონასტერი ამოქმედდება. მონასტრის ასაშენებლად კი თანხებს გერმანელი კათოლიკეები გამოყოფენ.**

**კათოლიკური სამონასტრო კომპლექსის მშენებლობა და სარეკონსტრუქციო სამუშაოები 2 წელიწადში დასრულდება.**

ჯი-ეიჩ-ენი

პოეზია

# ახალი რვეულიდან



გურამ გომართელი

## ვუხდი მადლობას...

პატარა ზაზიკოს

თავდახრით ვუხდი დიდ მადლობას უფლის განგებას,
ცოცხალს მომასწრო შვილიშვილის ძის დაბადებას,
მაგრამ ასეა, ასრულდება რაც იმას ნებავს,
სალამი შობას, ნათლობას და გვარის მატებას.

ზარებად ჟღერდეს იავნანა ლოცვის მაგვარი,
ყველას ოჯახში წვიმად ცრიდეს ნაკურთხი წყალი,
გვირგვინად ედგას ჩემ ქვეყანას წმინდა ცარგვალი,
გვიმრავლოს დილა, სამახსოვრო,
დაუვიწყარი.

## ისევ ვეწვიე

გორისის სიცხემ დამაოსა,
ჩრდილს ვეძებ ჩოქვით,
ჩემო დაიკო, მომაშველე,
ჭის წყალი დოქით.

და ვისხამ ყელში ხარბად
სითხეს, სითხეს სასწაულს,
ამ ეზოს გარდა არარსებულს,
მხოლოდ აქაურს.

წამით ვაჯობე აუტანელ
ხვატს და ოხშივარს,
მადლობა უფალს, ჩამოვედი,
მე ჩემ ქოხში ვარ!

## სურათი

ალვის ხეების ტოტებში მზე გაიჭედა,
მერე თავს უშველა და დაღმა დაიძრა.
ამ დროს, ზენა ქარი ღრუბელს ფენდა
გასაშრობად,
ან სულაც წინასწარ გამიზნა,
რომ სხივი დასდევდა ღრუბლის ქულას
გასაფერადებლად.
ცოტა ხანს მოედო ცისკიდურს ალმური,
მერე დაიშალა და დაქუცმაცდა,
ღამის პერანგებად.
... ეს ყველაფერი უჩემოდ ჩაივლიდა,
რომ არ დამენახა, სახლის აივნიდან.

* * *

ყვავილზე დაფრინდნენ პეპლები,
ისინი ტოლები და ერთფერებია,
რა ვუყო, ვერაფრით ვერ ვხვდები –
ქიშპობენ თუ ერთმანეთს ეფერებიან.
... მცენარის სურნელით წამშივე თვრებიან,
მერე კი, მერე კი... ორ დღეში ქრებიან.

## ვერელების შეკრებაზე თქმული

მე ვენაცვალე ჩემ თბილისის ზნედაცულ უბნებს,
ყველას თავისი ეშხი აქვს და თავისი ხიბლი,
ბევრი თავის ჭირს, თავის ვარამს უჩუმრად უძლებს,
და თუ ნაღდი ხარ, ამ ქალაქში თამამად ივლი.

უბანს ამშვენებს არა ქუჩა და არა სახლი,
ხის აივანზე გაფენილი ჭრელი ფარდაგი,
უბანს ამშვენებს ალალი და მართალი ხალხი,
გულანთებული და მზრუნველი, როგორც ვახტანგი.

და ვამბობ იმას, რაც ჭეშმარიტ თბილისელს სჯერა,
თუ დავიჩემო, დავისაჯო, დადუმდეს ენა,
თბილისის სახე, მისი გული, მისი მშვენება,
რა ვქნა, ვერაა მეგობრებო, ვერაა, ვერა!

## შენ ლოცულობ...

ნანი გრეგვაძეს

სიკეთის ზღვას ნაკადულად შერთვიხარ,
სათნოების მსახურად გაჩენილხარ,
ვერც კი ხვდები, ქვეყნისათვის შენ ვინ ხარ,
ოვაციის ტალღებზე ასვენიხარ.

ფრინველივით ჰანგის მადლი თან დაგყვა,
რტოზე ზიხარ, ცისკრის ვარსკვლავს ელი,
შენ გალობას, ბევრი „ჩიტი" გადაჰყვა,
ბულბულივით, შენ შენთვისა მღერი!
შენ ლოცულობ, შენ კი არა მღერი.

შეხვედრა წარსულთან

# ომი, რომელიც გუშინ იყო...

„პირველი მოხალისე, რომელიც იარაღით ხელში დაიცავს ჩვენი ქვეყნის მთლიანობას, მე ვიქნები!" – პარლამენტის მაღალი ტრიბუნიდან აცხადებს შეუდარებელი თვალთმაქცი და ბრწყინვალე მოთამაშე მისთვის დამახასიათებელი გამომეტყველებითა და ჟესტიკულაციით (რომელიც მთელმა მთავრობამ გადმოიღო და გაითავისა) სახელმწიფოს მაშინდელი მეთაური ედუარდ შევარდნაძე, კაცი მრავლისმცოდნე და შორსმჭვრეტელი, მაქსიმალურად ინფორმირებული მომხდარსა თუ მოსახდენში და მსოფლიოს ახლებურად განაწილების ერთ-ერთი თანაავტორი, ჩვენი რეგიონის გარკვეული მიზნებისთვის ბალკანიზაციის (შედეგებს კიდევ მოვიმკით) იდეის მომხრე და შემსრულებელი, მტერთან დამეგობრების და მოყვასის გადამტერების დიდოსტატი.

ჩვენ კი ერის მებრძოლმა ნაწილმა (სხვანიც იბრძოდნენ როგორც შეეძლოთ, ზოგი სულაც სავსე ჭიქით ხელში), ნაწილობრივ მისი სიტყვებით აღტკინებულებმა, მეტწილად ჩვენი ზღვისპირელი თანამემამულეების მდგომარეობით გულმოკლულებმა, ლტოლვილებით გადაჭედილ გემს ერთგული ძაღლის ცურვით დადევნებით ქრუაანტელდავლილებმა (ეს ცნობილი ტელეკადრი აზრობრივ და ემოციურ პიკს აღწევს) იარაღი ავისხით და მყისიერად ამოვყავით თავი პალმათა რიგს შორის დაკლაკნილ სანაპიროზე, სადაც ჩვენი ბავშვური თუ ჭაბუკური ტკბილი მოგონებები კი არა, ტყვია და ჭურვი ბატონობდა.

სოხუმის მისადგომებთან, იაშტუღის მთის ძირთან შემორკალულ, დაცარიელებულ სოფელში ვართ დისლოცირებული. მოხალისეთა კორპუსი, სოხუმის და ქუთაისის „მხედრიონის" ნაწილები, ახმეტის ბატალიონი, ავლანელ ვეტერანთა ოცეული (გენერალმა გენო ადამიამ განალაგა ამ სტრატეგიულად მნიშვნელოვან ადგილას ჩვენი შენაერთი). მნიშვნელოვან საბრძოლო დავალებას ველოდებით სხვადასხვა ტიპის იარაღითა და ჩვენს განკარგულებაში მყოფი ტანკით უზრუნველყოფილნი.

რეკოგნოსცირება, ანუ ადგილმდებარეობის შესწავლა, ყველა მოსალოდნელი ვარიანტი, უკვე ჩატარებულია. ბიჭები ისვენებენ. ზოგი თვლემს, ზოგი საუზმობს ან იარაღს წმენდს. მე სოფლის ბოლოს, ფერდობის პირას, ვაშლის ხის ძირას ვზივარ, ვაზის შეყვითლებული ფოთლებით დაფარული. წინ თვალწარმტაცი სანახაობა იშლება. უკიდეგანო ზღვაში შეჭრილი დაკლაკნილი ანკარა გუმისთა, უფრო მაღლა ეშერა მოჩანს, მოწინააღმდეგის პოზიციებით დახუნძლული. პერიოდულად ჩვენს თავზე გამაყრუებელი შხუილით ფრენს „გრადის" ჭურვები. ცამდე ატყორცნილი ცეცხლის სვეტები, კვამლის ღრუბლები და ათასობით ნამსხვრევი... დურბინდში მშვენივრად მოჩანს მტრის მოძრავი სილუეტები, „გრილ" და უსაფრთხო ადგილს რომ ეძებენ ამ „სიურპრიზისგან" თავის დასაღწევად (არ ინძრევა მხოლოდ რუსების მიწისქვეშა, როგორც ამბობენ ტექტონური ცდების გასაიდუმლოებული ლაბორატორიის დაცვა).

მზერა მარცხნივ გადამაქვს, იქეთ, სადაც გულრიფში და აგუძერა მეგულება. და ისევ ბავშვობაში მივყავარ მოგონებებს. სიცილ-კისკისითა და ხალისით „ვმარხავდით ერთმანეთს პლაჟის სილაში, მხოლოდ თავებს ვიტოვებდით მაღლა... მაგრამ გადის დრო და თითქოს ყველაფერი მეორდება და ლევან აბაშიძეს დიდუბის პანთეონში ვაყრი ერთ მუჭა მიწას... მერე საბურთალოს ძმათა სასაფლაოზე ვუკოცნი ნატყვიარ საფეთქელს ირაკლი ამირეჯიბს... მხოლოდ თბილისში, გმირთა მოედანზე ოცზე მეტი ბენდელიანის გვარია ამოტვიფრული, ნადირაშვილი, კლდიაშვილი, სულხანიშვილი... ბიჭები მთელს საქართველოს რომ ამშვენებდნენ... არაფერს ვამბობ მთაწმინდელ ქურთებზე, ავლაბრელ სომხებზე, მაიდნელ ებრაელებზე, უკრაინელ მოხალისეებზე, თბილისელ რუსებზე და ბოლო იმ ორ მაგადანელ ბიჭზე, აფხაზურ მიწას რომ მივაბარეთ...

ოქტომბრის მზიანი დღეა. ჩემს ირგვლივ, ერთი ხელის გაწვდენაზე უამრავი ხილი ყრია. მზის სხივი ყურძნის კაკალში ჩაბუდებულ კურკას ლანდავს... მიწიერი სამოთხეა... და ამ დროს ვიღაც ზაპოროჟიელი კაზაკი ან ყაბარდოელი და ვინ იცის კიდევ ვინ, ტყვიას მესვრის. მეც ხურდას ვუბრუნებ, თან ვფიქრობ: „რატომ? რისთვის!?".. რატომ იღრჩობა სისხლში საუკუნეებით მოტანილი ჟამი მოსავლის აღებისა, ქორწილებისა, გამრავლებისა, სანუკვარი შემოდგომისა, სიხარულისა... თუმცა ასეთ სიტუაციაში ლირიკული განწყობა და მთის ფერდობებზე შეფენილი სიმინდის ყანები ვერ გუობენ ერთმანეთს. ავისმომასწავებლად შრიალებს ყვითელი, ფართო და გრძელი ფოთლები, ტაროები თავს აკანტურებენ და თითქოს ამით კიცხავენ მტერს მუხანათური ქმედებისათვის... და ლოგიკურია მათგან ამ ხელსაყრელი საფარის „გასუფთავება", საიდანაც გავეშებით ცდილობენ ქალაქის დაცვის ერთ-ერთი რგოლის (ჩვენი სახით) განადგურებას და მარყუჟის უფრო მჭიდროდ მოჭერას).

და აი, როგორც იქნა დამქანცავი პოზიციური ბრძოლის შემდეგ, „ლოგიკური დასკვნაც" მოგვევლინა: ლაკობას ქუჩის №5-ში განლაგებული გენშტაბიდან მოვლენილმა ბორის კაკუბავამ მგზნებარე სიტყვა წაიკითხა (დიახ წაიკითხა) სამშობლოს სიყვარულის შესახებ(?), და გენშტაბის გეგმა გადმოგვცა (ნეტავ ვინ მისცა ამის კომპეტენცია?) საერთო იერიშის შესახებ... და გაქრა...

საერთო იერიში არტმომზადებით დაიწყო, ჩვენ ხელთ არსებული ერთადერთი ტანკით და მერე, რამდენიმე წუთში შეშინებული მაკაკას წივილის თანხლებით (ერთ დროს არსებული სოხუმის საკავშირო მაიმუნსაშენიდან გაქცეული პატარა მაკაკა რატომღაც ჩვენს პოზიციებზე აღმოჩნდა და ტანკში დაიდო ბინა) ჩვენი შენაერთი წინასწარ დანაღმულ მთას შეუყვა (არ ჩავუღრმავდები საბრძოლო მოქმედებების მსვლელობას) რამდენიმე საათში, გარკვეული დანაკარგების მიუხედავად, მიზანს მიაღწია და მტრის მიერ პროფესიულად გათხრილ და დაქსაქსულ სანგრებში დაიდო ბინა.

„Окоп, товарищи курсанты. это пятьдесят процентов жизни, плюс пятьдесят тепла..." – უნივერსიტეტში ჩემი სტუდენტობისდროინდელი სამხედრო კათედრის პოლკოვნიკის სიტყვები მახსენდება ჩაფხუტზე თავდადებულს, უძილო ღამეებისგან ღონემიხდილს. ჩემ გადატვირთულ ფსიქიკაში შობილი ფერად-ფერადი ჰალუცინაციური ჩვენებები ძილის და დასვენების საშუალებას არ მაძლევენ (ბევრი რამ მასწავლა იმ რუსმა პოლკოვნიკმა, სანამ მოტომსროლელი ასეულის ოფიცრად არ მაქცია), ახლა კი მათივე ტაქტიკითა და იარაღით ვმოქმედებ და საკმაოდ ეფექტიანად.

ლაკობას №5-დან ჩქამი არ ისმის, თითქოს დაგვავიწყდით. არც სურსათი, არც საბრძოლო მასალა, ჩვენ მიერ მინიმუმამდე დაყვანილი. კავშირზე ლაპარაკიც კი ზედმეტია და ამის გამო ჩვენი ბიჭების ერთმანეთის კოორდინატებს ხშირად ვერ აფიქსირებენ და, ასე ვთქვათ, ფოთლის ერთ გაფაჩუნებაზე გორი კასპს ესროდა, თბილისი თელავს და ა. შ. მოვითათბირეთ და გადავწყვიტეთ: გენშტაბში უნდა ჩავიდე და ყველაფერი გავარკვიო.

აფუთფუთებულ ჭიანჭველების ბუდეს ჰგავს შტაბი. ჩემ კატეგორიულ მოთხოვნაზე ერთი „ჩინი" მეორესთან მაგზავნის, მეორე – მესამესთან (არ მგონია რომელიმე მათგანს დენთის სუნი ჰქონდეს ნაყნოსი). ასე გრძელდება, სანამ ჩემი არ გამაქვს (ან კი რა მქონდა გასატანი?) და სანამ ჩვენს „უაზს" საბრძოლო მასალითა და მშრალი პროდუქტებით ტვირთავენ, ჩართულ ტელევიზორს ვუჯდები, საინფორმაციო ბლოკს (ГРУ-ს პირველწყაროს) ვუყურებ, საიდანაც ვიგებ, თუ სად იმყოფება ჩემი შენაერთი, რას აპირებს ყარყარაშვილის „თეთრი არწივი", რომელი პოზიციები გვიკავია გუმისთის გასწვრივ, რა ძალებითა და შეიარაღებით ვაპირებთ ზღვიდან ოჩამჩირეზე სადესანტო შტურმის მოგერიებას... მერე მცირე პაუზა და ტელეეკრანს „ნაღდი შოუ" იპყრობს. მრგვალ მაგიდებთან მიმსხდარი მინიკაბებიანი ქალწულები და ჰალსტუხიანი ბრგე ვაჟკაცები შამპანურს წრუპავენ, ვიღაც პუტკუნა წამყვანი კი სიცილ-კისკისის ფონზე დუბაიში გვეპატიჟება.

ამით დამთავრდა ჩემი ომი და დაიწყო სხვა... ჩემთვის უკვე საყოველთაო... უფალმა განმსაჯოს, ვცოდავ თუ არა, მაგრამ უცებ გალეშილი კაზაკების, რუსების, ყაბარდოელების, ბაგრამიანის ბატალიონის, აფსუების (ყველაზე მცირერიცხოვანნი ამ „თაიგულში"), ჩეჩნების (რომელთა დიდი რაოდენობით იქ ყოფნის მითი გარკვეულ და ცნობილ პოლიტიკურ მიზნებს ემსახურებოდა) გააფთრებული შეტევები მაშინ თოჯინების თეატრად მომეჩვენა... დიდ, მრავალაქტიან, ოღონდ აბსურდის „სპექტაკლად" კი გაგრის გაყიდვა (სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ), მაშინდელი მთავრობის ზოგიერთი წარმომადგენლისა და კრიმინალური დაჯგუფებების მიერ

იხ. 8 გვ.

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე



# ჰილარიმ საქართველოს სხვისი ტერიტორიები მისცა

**ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა ჰილარი კლინტონმა რამდენიმე განცხადება გააკეთა, რომლებიც უსათუოდ გაახარებს თბილისს. ეს მოხდა ვაშინგტონში, სადაც დაიწყო საქართველო-ამერიკის კომისიის ხუთდღიანი სხდომა სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ**

„ჩვენ კვლავ მოვუწოდებთ რუსეთს, ბოლო მოუღოს საქართველოს ტერიტორიის ოკუპაციას, – განაცხადა საგარეოპოლიტიკური უწყების ხელმძღვანელმა და დაუმატა: – ამერიკის შეერთებული შტატები ურყევია თავის მხარდაჭერაში საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის თვალსაზრისით. სახელმწიფო მდივანმა შეაქო თბილისის ხელისუფლება „რეფორმების კურსის ერთგულების“ გამო და მოუწოდა ამერიკელ ინვესტორებს „ყურადღებით მოეკიდონ საქართველოს“.

როდესაც ასეთი სიტყვები მოისმინა, საქართველოს დელეგაციის ხელმძღვანელმა, პრემიერ-მინისტრმა ნიკოლოზ გილაურმა ვერ შეძლო ემოციების დაოკება. მან მხურვალე მადლობა გადაუხადა ამერიკას „ფინანსური და ეკონომიკური“ მხარდაჭერისთვის.

ქალბატონ კლინტონის გამოსვლის ტრანსლირებას აწარმოებდნენ საქართველოს ძირითადი ტელეარხები. შემდეგ კი მრავალჯერ იმეორებდნენ მას. თან ურთავდნენ აღფრთოვანებულ კომენტარებს.

სხვათა შორის, ვაშინგტონში ყველაფერი ერთმნიშვნელოვანი როდი იყო, როგორც ეს თბილისს სურს წარმოგვიდგინოს. მაგალითად, ცნობილია, რომ საქართველოს დელეგაციამ ამერიკელი მოსაუბრეებისგან მიიღო „მთელი რიგი რეკომენდაციები“. თუ რა რეკომენდაციები იყო ეს – ოფიციალური პირები ამის შესახებ დუმან.

ზოგიერთი მონაცემებით, სახელმწიფო მდივანმა და მისმა თანმხლებმა პირებმა გააფრთხილეს თბილისი რეგიონში ახალი სამხედრო აქციის დაუშვებლობის შესახებ – მეტად მწარე აღმოჩნდა 2008 წლის აგვისტოს ცხინვალის გამოცდილება. თავის გამოსვლაში ჰილარი კლინტონმა არ დაიწყო ამ თემის განვითარება, შემოიფარგლა მოკლე რემარკით, რომ „დეოკუპაციის პროცესი მშვიდობიანი გზით უნდა მიმდინარეობდეს“.

ИЗВЕСТИЯ
ОБЩЕНАЦИОНАЛЬНАЯ ГАЗЕТА

**ანატოლი მაქსიმოვი, კირილ კოლოდინი**

# სააკაშვილმა წვრილი მეწარმეები გაიხსენა

**7 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტის შენობასთან ასობით მეწარმე შეიკრიბა, რომლებიც პროტესტს აცხადებენ თავიანთი კოლეგების მასობრივი დაპატიმრების გამო. წინა დღით ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის თანამშრომლებმა ერთდროულად დააპატიმრეს 170 წვრილი მეწარმე, მათ ბრალი დასდეს გადასახადების დამალვასა და დოკუმენტების ფალსიფიკაციაში. მაგრამ ოპოზიცია ამტკიცებს, რომ ფისკალური ორგანოები მოქმედებდნენ ქვეყნის უმაღლესი ხელმძღვანელობის დავალებით, ვინაიდან, მათი აზრით, ისინი ბოროტი განზრახვით ჩქმალავენ მცირე ბიზნესს საბიუჯეტო პრობლემების საზიანოდ**



170 ინდივიდუალური მეწარმე, რომლებიც აწარმოებენ ტანსაცმლის იმპორტს თურქეთიდან, თითქმის ერთდროულად დააპატიმრეს ოთხშაბათს. მასშტაბური აქცია კარგად იყო დაგეგმილი და მომზადებული: ზოგი სახლში აიყვანეს, ზოგი საბაჟოზე, ზოგიერთები სამუშაო ადგილზე, სავაჭრო კომპლექსს „კიდობანსა“ და „პასაჟში“, სადაც ბევრ მათგანს იჯარით აქვს აღებული მაღაზიები.

დაკავებულებს ბრალს სდებენ დანაშაულებრივ შეთქმულებაში გადამზიდ კომპანია „ტრანს-კარგოსთან“, გადასახადების დამალვასა და ზედდებულების გაყალბებაში. თანაც ფინანსთა სამინისტროში ვერ გებულობენ მეწარმეებისა და ოპოზიციური პარტიების აღშფოთების მიზეზებს. „კანონში არსად არის ნათქვამი, რომ არ შეიძლება ერთდროულად დააკავო ბევრი დამრღვევი, – აღნიშნა ჩვენთან საუბარში ფინანსთა სამინისტროს თანამშრომელმა ეკა ნებიერიძემ. – და სისხლის სამართლის კოდექსი არ კრძალავს ერთდროულად დამრღვევთა დაპატიმრებას სახლში იქნება ეს თუ სამუშაო ადგილას“.

მიუხედავად ამისა, ახალგაზრდა ფინანსისტებისა და ბიზნესმენების ასოციაციაში ამ დაპატიმრებებში დიდი ბიზნესის ინტერესის ლობირება დაინახეს.

„არ იყო და არც არის რაიმე საფუძველი 170 კაცის დაპატიმრებისთვის, რომელთა უმეტესობა ქალებია, როგორც ტერორისტებისა და რეციდივისტებისა, – განაცხადა ასოციაციის ხელმძღვანელმა მერაბ ჯანიაშვილმა. – ამას გარდა არც ერთ ცივილიზებულ ქვეყანაში ასეთი დარღვევებისთვის არ მიმართავენ ზომების ისეთ სახეს, როგორიცაა დაპატიმრება“. მისი სიტყვებით, გადამზიდი კომპანია „ტრანს-კარგო“ აწარმოებდა საერთო ანგარიშების გამოწერას პროდუქციის სახეობაზე იმის ნაცვლად, რომ გამოეწერა ანგარიში ცალკეულ საქონელზე. „მაგრამ რა შუაში არიან აქ თავად მეწარმეები“, – გაოცებულია ბატონი ჯანიაშვილი. – ეჭვი გვაქვს, რომ ხელისუფლებას სურს დააშინოს წვრილი მეწარმეები დიდი ბიზნესის სასარგებლოდ“.

ოქტომბერს ოპოზიციური კონსერვატიული პარტიის მოწოდებით დაპატიმრებული მეწარმეების კოლეგები შეიკრიბნენ მიტინგზე პარლამენტის შენობასთან.

„ჩვენ ვაიძულებთ ხელისუფლებას გაათავისუფლოს დაკავებულები, – განაცხადა კონსერვატიული პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა ალექსანდრე შალამბერიძემ. – როგორც ჩანს, მათ არ შეუძლიათ შეკრან ბიუჯეტი მომავალი წლისთვის, როდესაც დასავლეთის დახმარება პრაქტიკულად შეწყდება, და გადაწყვიტეს ხელი მოითბონ უბედურ წვრილ მეწარმეებზე“.

ხმაურიანი აქცია გაგრძელდა დაახლოებით 2 საათი და დამთავრდა რეზოლუციის მიღებით, რომელშიც ბიზნესმენები დაემუქრნენ ხელისუფლებას მასობრივი საპროტესტო აქციებით იმ შემთხვევაში, თუ ყველა მათი კოლეგა არ იქნება დაუყოვნებლივ გათავისუფლებული.



„ინდივიდუალური მეწარმეების აქციებით დაიწყება მორიგი საპროტესტო ტალღა, რომელიც ბოლოს მოუღებს სააკაშვილის რეჟიმს“, – გამოთქვა იმედი კონსერვატიული პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა ზვიად ძიძიგურმა.

**გიორგი დვალი**

Коммерсантъ

დედამიწის ზურგზე



**იაპონიის პარლამენტში გააკრიტიკეს პრემიერი რუსეთთან და ჩინეთთან დავის გამო**

პეკინი უკანასკნელ ხანებში უფრო მკაცრ პოზიციას იკავებს დავაში კუნძულ სენკაკუს კუთვნილებასთან დაკავშირებით, რომელსაც იაპონია აკონტროლებს. იაპონიის ოპოზიცია აღნიშნავს, რომ ამავე დროს მოსკოვმაც იაპონელი პოლიტიკოსების სხვადასხვა მკაცრი განცხადების საპასუხოდ გააძლიერა პოზიცია სამხრეთ კურილიის კუნძულებთან დაკავშირებით. პრემიერმა ნაოტო კანმა უარყო ყველა პრეტენზია.

* * *

**მინსკი ცდილობს შეურიგდეს მოსკოვს, მაგრამ ის ამზადებს ინფორმაციული ომის გაგრძელებას**



ოთხშაბათს ბელარუსის ლიდერმა გააკეთა შემარიგებელი ჟესტი, როდესაც რუსეთის ფედერაციის პრემიერს ვლადიმერ პუტინს დაბადების დღე მიულოცა. ამავე დროს ბელარუსის დეპუტატებმა მოუწოდეს ყველაფერი გააკეთონ, რათა „ურთიერთობა ორ ქვეყანას შორის არ ასცდეს კონსტრუქციულ კალაპოტს“. ექსპერტების აზრით, ლუკაშენკო საგონებელშია ჩავარდნილი მოსკოვის მკაცრი რეაქციით მის გამოხდომებთან დაკავშირებით და ცდილობს მოაწესრიგოს ურთიერთობა.

* * *

**ისრაელი აშშ-დან მიიღებს 20 გამანადგურებელს დასახლებებში მშენებლობათა გაყინვის საფასურად**



გარიგების ფასი 2,75 მილიარდ დოლარს შეადგენს, სახსრების უმეტესი ნაწილი გადარიცხული იქნება სამხედრო გრანტიდან, რომელიც ისრაელს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა გამოუყო, დანარჩენს იერუსალიმი გადაიხდის განვადებით რვა წლის განმავლობაში. ეს გარიგება არის ვაშინგტონის წინადადებათა ნაწილი მორატორიუმის გაგრძელების პასუხად იუდეისა და სამარიის დასახლებებში მშენებლობასთან დაკავშირებით.

* * *

**სტრასბურგის სასამართლომ დაავალდებულა რუსეთი, გადაუხადოს ჩეჩნების ორ ოჯახს 400 ათასი ევრო წამებისა და გატაცებისთვის**

2000 წელს გროზნოში დააპატიმრეს ჩეჩენი მასწავლებელი. მილიციონერებმა ის ჯერ სცემეს, შემდეგ მოაჭრეს მარცხენა ყური. მოსკოვს მიუსაჯეს გადაუხადოს მას 79 ათასი ევრო. რუსეთი აგრეთვე დამნაშავედ იქნა მიჩნეული ორი ჩეჩენი გოგონას მოტაცების გამო – ისინი უგზოუკვლოდ დაიკარგნენ. მათ ოჯახებს უნდა გადაუხადონ 321 ათასი ევრო.



შეხვედრა წარსულთან

# ომი, რომელიც გუშინ იყო...

**(მეშვიდე გვერდიდან)**

გატაცებული მანქანების და ციტრუსის „ექსპორტი“, ხელოვნურად შექმნილი სასურსათო დეფიციტი, საზოგადოების იმ ნაწილის სრული კონფორმიზმი და უდრტვინველობა (ვინც ომი არ შეიხოძ... უკვე შემდგომ სოჭის „მოლაპარაკების“ საფუძველზე ჩვენი მძიმე ტექნიკის მტრისთვის ჩაბარება (Во имя мираძ და მთავრობის პატრიოტულად განწყობილი ნაწილის მიტოვება (რაც მათი დახვრეტით დამთავრდა და ბოლოს ასიათასობით ლტოლვილის მიერ ჭუბერის გადალახვა (აღსავსე ტრაგიკული მოვლენებითძ. შემდეგ კი (დღემდეძ მათდამი არაადამიანური მოპყრობა... და ეს ყველაფერი პანორამაში დანახული, მაშინაც და დღესაც ფოლადის ორლესულივით მაქვს ზურგში (დიახ ზურგშიძ, გაყრილი, მაგრამ ამ ჩემმა სულიერმა მდგომარეობამ, უზარმაზარი ალი ამინთო გულში. უსაზღვრო სიყვარულით შემაყვარა ჩემი ბიჭები – არაგვის კალმახის დარად წითლად (სისხლით წვეთებითძ დაწინწკლულები.

**ლევან ორახელაშვილი**

*P. S. ანუ P. WAP. იმ ავადსახსენებელი, მრავალეროვანი კონფლიქტის მიუხედავად, მისი სუბიექტურ-ობიექტურობისა თუ გარეშე ძალთა მიერ ინსპირირების (გარკვეულ შიდა ძალებზე დაყრდნობით) წაქცეულ ბაბილონის გოდოლს მაგონებს მრავალი ჯილაგის ხალხით დასახლებულს და მისი დაცემისაგან გამოწვეული ზათქი, დროსა და სივრცეში გატყორცნილი ნამსხვრევები, დღესაც გვაყრუებს და გვაბრმავებს. ეს ყველაფერი კვლავ შევიგრძენი სულ ახლახანს – 2008 წლის აგვისტოში, როცა „ინსპირატორმა“ თავისი დასაყრდენის მეშვეობით „დე იურე“ ჩარჩოში მოაქცია საქართველოს 20 პროცენტი, რომლის დაბრუნებასაც უახლოეს მომავალში (დღეს-ხვალ) გვპირდებიან (ალბათ ყოფილი ავტონომიების მცხოვრებთ ეკონომიკურად ფრიად მიმზიდველად მოეჩვენებათ ჩვენში დამკვიდრებული ან კიდევ დასამკვიდრებელი დრაკონული საჯარიმო სანქციები „ინვესტიციების“ სიუხვე, და ხელგაწვდილნი მოექანებიან ჩვენკენ).*

*„ეს აღარ არის 90-იანების ფეხშიშველი ჯარი... ჩვენ აღჭურვილნი ვართ ნატოს სტანდარტების შესაბამისი ეკიპირებით, იარაღით, ტექნიკით (შუშის ხიდებით და მრავალი შადრევნებით, რომელთა საფასურად ასობით „სტინგურს“ შევიძენდით და 2008-ში „ჰაერის“ პრობლემას მოვიხსნიდით) ტაქტიკური მომზადებით და მზად ვართ... მზად ვართ... მზად ვართ...*

*მე თუ მკითხავთ, ის ჩემი ფეხშიშველი (ასეთი მე იქ არ მინახავს) ჯარისკაცი, რომელმაც წელიწადზე მეტხანს მოიგერია მომხვდურთა არმადა, ათჯერ მირჩევნია უცხვირსახოცო პრეზიდენტად, მთავარსარდლადაც წოდებულს, რომლის „მარჯვენა ხელმა“ ქვეყნის პარლამენტის თავმჯდომარემ სრულიად საქართველოს მოუწოდა ტელეეკრანით: „არ დანებდეთ აგრესორს! სამზარეულოს დანებით, ნაჯახებით, ყველა საშუალებით იბრძოლეთ და ჩვენ გავიმარჯვებთ!“ ალბათ უნდოდა ეთქვა „თქვენ გაიმარჯვებთო“, მაგრამ უაღრესად დამფრთხალი ჩანდა და დაიბნა (ისიც ადამიანია!).*

*თუმცა, ერის ურჩმა ნაწილმა ყური არ ათხოვა ქვეყნის ერთ-ერთ „მამას“ – წითელ ხიდთან „ჯიპების“ მდინარე გაიჭედა, ამერიკის საელჩო კი სურსათ-სანოვაგით დატვირთული „პატრიოტებს“ ვერ იტევდა...*

*ჰო! ყველაზე მთავარი დამავიწყდა! მაშინ საქართველო არ ჩ-ა-მ-ო-ი-შ-ა-ლ-ა! და არც ჩამოიშლება მანამ, სანამ ჩვენში „ჩაკრული“ იმღერება!*

*ლ. ო.*

№ 189. შაბათი, 9 ოქტომბერი, 2010 წელი.

## ჩვენი ბიბლიოთეკა

მსგავსება მართლაც იყო, და ყმაწვილქალს ერთგვარ სევდას უნერგავდა, რადგან ის სულ სხვა რასმე ელოდა, რიტუალურ სახიობას ვნახავო, ეგონა, რომელი სახიობაც ოდესღაც შთააგონებდა გოიას, სენ-სანსს, პიკასოს... იმედგაცრუებულმა ხელი დაავლო ბოთლს, იქვე რომ იდგა, და მოიყუდა.

ეს უკვე ქეიფს დამსგავსებული დღეობა-დღესასწაული სულაც ხელს არ უშლიდა ხილულიდან უხილავში ხიდის გადებას. ბრიდას სიამოვნებდა, რომ ასეთ – საეროზე ბევრად მეტ და მიწიერ გარემოში რაღაც საკრალური ხდებოდა.

ბინდი სწრაფად ხშირდებოდა. ცარიელ ბოთლებს თვლა არა ჰქონდა. ხალხი დათვრა. და სულ ცოტა ხნით ადრე, ვიდრე წყვდიადი მთლად მოიცავდა მინდვრიანს, ვილაც ორმა თუ სამმა იქ მყოფთაგან – უბრალოდ და ჩვეულებრივად, ყოველგვარი რიტუალისთვის მიუმართავად – კოცონი დაანთო. წარსულშიც, ალბათ, აგრე იყო: ვიდრე ფრიად მნიშვნელოვანი მაგიური ელემენტი გახდებოდა, კოცონი სინათლისა და სითბოს წყაროდ აღიქმებოდა. და ცეცხლის ირგვლივ იკრიბებოდნენ ქალები, რათა ელაპარაკათ თავიანთ ქმრებზე, ჯადობაზობასა და ჯადეგობა-ბებლობაზე, შუა საუკუნეების ჟამინდელ ავხორცობისა და სიძვის ვერაგ და სასტიკ დემონებზე – ინკუბებსა და სუკუბებზე. წარსულშიც, ალბათ, აწინდელის მსგავსად ხდებოდა გაზაფხულისა და იმედის შეხვედრა – იმართებოდა დიდი და ხალხმრავალი დღესასწაული, იმხანად კი მხიარულება კანონს ეწინააღმდეგებოდა, რამეთუ არცვის ზეიმობისა და თავშექცევის უფლება არა ჰქონდა მხოლოდ და მხოლოდ სულმოკლეთა საცდუნებლად შექმნილ სოფელ-ქვეყანაში. ფეოდალნი თავიანთი პირქუში ციხე-დარბაზების კედლებში ჩაკეტილნი უცქეროდნენ, რა მხიარულად გიზგიზებდნენ ეს კოცონები, და თავს გაქურდულად გრძნობდნენ, რამეთუ იმათ გლეხკაცთ ბედნიერების შეცნობა მოესურვებინათ, ხოლო ვინც ბედნიერებას შეიცნობდა, ის უკვე უდრტვინველად ველარ აიტანდა დარდსა და ნაღველს. და იმათი სურვილი გაბედნიერებისა მთელი წელიწადი საფრთხეს უქმნიდა იმჟამინდელ მსოფლწესწყობილებას – პოლიტიკურსაც და რელიგიურსაც.

Უკვე შემთვრალი ოთხი თუ ხუთი კაცი კოცონის გარშემო აროკდა – საფიქრებელია, რომ ისინი კუდიანთა შაბათობაზე, ანუ კუდიანობა ღამეს აროკებულთ ბაძავდნენ ფეხის შლაში. მოცეკვავეთა შორის ბრიდამ ერთ-ერთი ხელდაუსხმელი იცნო, რომელსაც პირველად იმ დღეს შეხვდა, როცა უიკა მოწამებრივად დაღუპულ კუდიანთ იხსენებდა. ჯერეთ თავადაც ხელდაუსხმელი ყმაწვილქალი უსიამოვნოდ განაცვიფრა ამგვარმა საქციელმა, ვინაიდან დარწმუნებული იყო, რომ მთვარის ტრადიციის თანაზიართ თავი მუდმივად სალხინებელში უნდა ეგრძნოთ, სადაც სულები ცოდვათაგან განიწმინდებიან სამოთხეში მოხვედრამდე, და არამც და არამც არ ეგებოდა სალხინებლის სამოსმუროდ, ანუ მემთვრალეთა შესაკრებლად გადაქცევა. და ბრიდას წამერთ წამოაგონდა მოგვთან ერთად გატარებული ღამე და ისიც, თუ როგორ გაუძნელათ ნასვამობამ ურთიერთობა ასტრალური გასეირნებისას.

– გეფიცებით, ჩემი დაქალები პირდაპირ შურით დასკდებიან, – ესმოდა ბრიდას ვილაცის ხმა. – არაფრით არ დამიჯერებენ, რომ მართლაც აქ ვიყავი...

ეს უკვე მეტისმეტი იყო. ბრიდამ იგრძნო, რომ სადმე გვერდზე მიმდგარს აუცილებლად უნდა გაეზიარებინა ყოველივე, რაც ხდებოდა, და როგორმე დაეძლია შინ წასვლის, აქედან სირბილით გაქცევის ძლიერი ცდუნება, ვიდრე საბოლოოდ არ გასტეხოდა გული და სანანებლად არ გახდომოდა ის ყოველივე, თითქმის მთელი წელიწადი თავისი ცხოვრების აზრად რომ ესახებოდა. მან თვალებით მოძებნა უიკა – ის მოწვეულ ხალხში იდგა და კისკისებდა. კოცონის გარშემო შეკრებილთ სულ უფრო მეტი და მეტი ხალხი ემატებოდათ, ზოგნი ტაშს უკრავდნენ და მღეროდნენ, ზოგნიც ცარიელ ბოთლებზე კლიტე-გასაღებთ აკაკუნებდნენ, ტაქტს ითვლიდნენ.

– ახლავე მოვალ, – უთხრა ბრიდამ ლორენსს, რომელსაც ახალი ნაცნობები შემოჰხვეოდნენ, ისიც იდგა და, მილიონობით წელიწადს რომ მიითვლიდნენ, იმ ვარსკვლავთა თავგადასავალსა და თანამედროვე ფიზიკის სასწაულთა ამბავს უყვებოდა გატაცებით, მაგრამ როგორც კი ბრიდას ხმა გაიგონა, წამში შეწყვიტა საუბარი:

– წამოგყვე?

– არა, მარტოს მირჩევნია.

და ბრიდა კოცონს დაემანძილა, ტყეს მისცა თავი. მიდიოდა და კიდევ კარგა ხანს ესმოდა კოცონთან აროკებულთა ბოჟირი და ხორხოცი, მთვრალი ხალხის ღრიანცელი და უსაგნო ყაყანი. არადა, რარიგ ელოდა ამჟამინდელ ღამეს, ძლივს მოილოდინა და თურმე სულ ტყუილად – ყოველივე ერთ უფერულ საღამოდ გადაიქცა, როგორ საღამოთაც ჩვეულებრივ საქველმოქმედო მიზნით მართავენ ხოლმე და სადაც მიწვეულნი ჯერეთ ვახშმობენ, სვამენ, თვრებიან, ბრტყელ-ბრტყელ სმურსადღეგრძელოებს წარმოთქვამენ, ხოლო ბოლოს არც იმის თქმას ივიწყებენ, თუ რაოდენ აუცილებელია თანხის შეგროვება სამხრეთ ნახევარსფეროში ინდიელთა ანდა ჩრდილოეთ პოლუსზე სელაპთა შესაწევნელად.

ბრიდა ტყეს მიუყვებოდა და თან ცდილობდა, რომ კოცონი მხედველობის არედან არ დაჰკარგოდა. ბილიკი აღმართს ასდევდა, უზარმაზარ კაჭარ-არძანს გარს ეხვეოდა, და ყმაწვილქალი ახლა უკვე ზემოდან ხედავდა, რაც იქ, კოცონთან ხდებოდა. მაგრამ რა გულისმომკვლელი სანახაობაც ქვემოთ იყო, ზემოდანაც იგივე ჩანდა: უიკა ხან ვისთან მიდიოდა, ხან ვისთან, ხომ ყველაფერი რიგზეაო, ეკითხებოდა, ზოგნი ისევ კოცონის გარშემო როკავდნენ, ზოგ წყვილს გვარიანად მოჰკიდებოდა სასმელი, და იყო ერთი კოცნა-პროშტნა. ლორენსი რაღაცას გაცხარებული ლაპარაკობდა, და იმისი ეს ლაპარაკი, ალბათ, სავსებით მართებული სადმე ბარში, სრულიად უადგილო და არაჯეროვანი ჩანდა მსგავსი ზეიმობის ჟამს... ვილაც ბუჩქ-ბუჩქ შლიგინით მიდიოდა: ან გვიანდელი სტუმარი იყო, ანდა იქნებ სულაც ტყეში სეირნობდა მავანი




და, რაკი ქრიამულის ხმა შეესმა, თავისი წილი მხიარულების სარგუნებლად მიიჩქაროდა.

ბრიდას ის რაღაცით ეცნო.

თუმცა, მოგვი იყო და როგორ არ ეცნობოდა.

და ბრიდა ხაფად გაეშვა ქვევით, რათა გზა ეყელა და მანამ შეხვედროდა, სანამ ის მინდვრიანზე გავიდოდა. მან კვლავ უნდა წააშველოს ხელი, როგორც არაერთხელ აქამდეც წაუშველებია. უნდა აუხსნას და გააგებინოს, რა ხდება დღეს აქ.

„Შიკას კუდიანთა შაბათობების მოწყობა არ ეშლება“, – ფიქრობდა ამასობაში მინდვრიანს მიახლოებული მოგვი. ის უკვე ხედავდა ადამიანთ, გრძნობდა იმათ ამან-ენერგიას, კოცონის შუქით გაღაღღადებულ სივრცეში თავისუფლად რომ მიმოიქცეოდა. სახიობის ამ საფეხურზე კუდიანთა შაბათობა თუ კუდიანობა ღამე რაგინდარა სხვა დღესასწაულსა ჰგავდა, და მომწყობ-მოთავეთ ახლა მთავარ ამბად ის ესახებოდათ, რომ სუყველა მონაწილე ერთსა და იმავე ტალღაზე განწყობილიყო. თავის სიცოცხლეში სულ პირველად რომ შეესწრო ამდაგვარ სიღოდასა თუ განცხრომას, მოგვმა, დიდად განცვიფრებულმა და აღელვებულმა, განზე გაიხმო თავისი მოძღვარი და ჩააცივდა: მითხარი, რა ხდებაო?

„საღამოს წვეულებაზე თუ ყოფილხარ სადმე?“ – ჰკითხა მან არცთუ გაუღიზიანებლად, რადგან მოგვი გაცხარებულ ლაპარაკში ჩაეჭრა და სიტყვა გააწყვეტინა.

კი, ვყოფილვარო, უთხრა მოგვმა.

„მერედა, როდის შეიძლება რომ წვეულება კარგ წვეულებად ჩაითვალოს?“

„როცა სუყველა მხიარულობს“.

„ადამიანებმა ჯერ კიდევ მაშინ იცოდნენ ესა თუ ის დღეობები, გამოქვაბულებში რომ ცხოვრობდნენ, – თქვა მოძღვარმა. – ეს პირველი რიტუალები იყო, ამის შესახებ ცნობებია შემორჩენილი, და მზის ტრადიციის წყალობით ისინი, ის რიტუალები, დღესაქამომდე არსებობენ. კარგი დღეობა-დღესასწაული, კარგი ზეიმობა სუყოველი მონაწილის ეტლ-ასტრალსა წმენდს, არადა ეს იოლი საქმე როდია: საერთო მხიარულების ჩასამწარებლად თუ ჩასაშხამებლად სულ რამდენიმე ისეთი კაცია საკმარისი, რომელთაც თავი დანარჩენებზე მეტი ჰგონიათ, და ადვილად ვერ ასიამოვნებენ, ვინაიდან სხვათა სიხარულის გაზიარება არ ძალუძთ და ამიტომ თავიანთი ჭკუით დროს ტყუილუბრალოდ კარგავენ. მაგრამ ბოლოსა და ბოლოს იდუმალ რამ მისაგებელ-საზღაურს მაინც დაიღირსებენ ხოლმე – დღეობა-დღესასწაულიდან თუ ზეიმიდან წასულთ თან ეტლ-ასტრალის ჯერეთ დაუჭუპრებელი მატლი მიაქვთ, უგრძნობლად იმათგან ამორიდებული, ვინც სხვებთან შეერთება შეიძლო. გაიხსენე, რომ მამაზეციერისკენ მიმავალი პირველი უმოკლესი გზა ლოცვაზე გადის, ხოლო მეორე, ასევე პირდაპირი – სიხარულზე“.

მოძღვართან ამ საუბრის შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა. მოგვს უამრავ მსგავს კუდიანთა შაბათობაში, ანუ კუდიანობა ღამეში მოუხდა მონაწილეობა, და იცოდა, რომ ეს საუცხოოდ მოწყობილი რიტუალური დღეობალხინია, რომლის დროსაც ნადური ენერგია-ამანის დონე ყოველწამიერად მატულობს.

მან თვალებით დაუწყო ძებნა ბრიდას. უწყოდა, რომ ნადურ ენერგია-ამანს უნდა ზიარებოდა და სავსებით განწყობილი იყო ამისთვის, მაგრამ ამსახე ხალხმრავლობას გადაჩვეულს ჯერეთ ცოტა გაშინაურება უნდოდა, ამაში კი უთუოდ კარგ სამსახურს ყმაწვილქალი გაუწევდა. იმას თუ იპოვიდა, თავს უფრო ლაღად და ბუნებრივად იგრძნობდა.

ის მოგვი იყო. მანათობელი წერტილის თვისებები უწყოდა. მხოლოდ სულის მდგომარეობის შეცვლა იყო საჭირო – და მთელ ამ ქაქანახირში წერტილი უსიკვდილოდ დაჩნდებოდა. იგი მრავალი წელიწადი ეძებდა ამ წერტილს, და აი ახლა რამდენიმე ნაბიჯიღა ამანძილებდა იმისგან.

და მოგვმა შეძლო მდგომარეობის გამოცვლა. და კვლავ დაჰკვლია დღეობა-დღესასწაული, ოღონდ აწ უკვე მიგნებისა და გულისხმისყოფის სულ სხვა ხარისხით. უმზერდა, გარჩევით აცქერდებოდა და ერთდროულად რამდენიმე აურას ხედავდა, ნაირ-ნაირი ფერისას, თუმცადა, სუყველა იმ ფერს იყო მიახლოებული, ამჟამინდელ დღეობა-დღესასწაულს რომ არ უნდა მოსჭარბებოდა. „უიკა ჭეშმარიტად დიდი მოძღვარია, – გაიფიქრა მან. – ამხელა ამბავს რა ხელად დაადგა თავი“. უკვე ძალიან მალე სუყველა აურა, ანუ თითოეული ადამიანის ასო-ტანის გარემომცველი ენერგია-ამანის გამოსხივება, ერთ ტალღაზე აეწყობა, სინტონურობას შეიძენს, შეხმატკბილდება და მაშინ შესაძლებელი გახდება კუდიანთა შაბათობის მეორე ნაწილის დაწყება.

მოგვმა მარცხნიდან მარჯვნივ რამდენჯერმე მიმოაცეცა თვალები და, ბოლოს, აღმოაჩინა ის მანათობელი წერტილი. გადაწყვიტა, მივეპარებიო, მოულოდნელად გავახარებო, და უჩუმრად მიადგა.

– ბრიდა... – შეჰყვირა.

მაგრამ თავისი სხვა ნაწილი უცებ სხვად გადაექცა.

– ბრიდა წავიდა, ცოტას გავივლიო, და მალე დაბრუნდება,– თავაზიანად თქვა ლორენსმა.

თავის წინ მდგომ კაცს მან ერთი წამით შეავლო თვალი, რომელი წამიც დაუსრულებელი ეჩვენა.

– თქვენ, ალბათ, ის მოგვი ბრძანდებით, რომელზეც ბრიდა ამდენს მიამბობდა, – ჩაილაპარაკა ლორენსმა. – დაბრძანდით. ისიც ახლავე მოვა.

ბრიდა უკვე მოსულიყო და იქვე წინ ედგათ, მძიმედ სუნთქავდა და დამფრთხალი ხან ერთს უყურებდა, ხან მეორეს.

მოგვმა იგრძნო, რომ მინდვრიანის მეორე ბოლოდან, კოცონის წიაღ, ვილაცა თვალმოუშორებლად ჰკვლევდა. მან იცოდა, ეს ვისგან ნატყორცნი მზერაც იყო, და ისიც უწყოდა, რომ ამ მზერას მანათობელი წერტილის გარჩევა არ შეეძლო – ამის უნარი მარტო სხვა ნაწილთ შესწევთ, რომელნიც ერთმანეთს უჭვრეტენ და ერთიმეორეს ცნობენ. ამ სახის მზერის ტყორცნა კი მხოლოდ ვინმე ღრმად განსწავლულ-განათლებულს ხელეწიფებოდა, ვისაც ზედმიწევნით შეუცნია მთვარის ტრადიციაც და ადამიანის გულის ოდინდელი საიდუმლოებანიც.

მოგვმა უკან მიიხედა და უიკას თვალებს წააწყდა, და იმან კოცონის წიაღ შემოღიმა – მოგვს წამსვე მიუხვდა ყველაფერს.

ბრიდას თვალებიც მოგვს მისცივებოდნენ. და სიხარულით ბრწყინავდნენ. ის აქ იყო!

– მინდა, რომ ლორენსს გაეცნო, – თქვა მან.

დღეობა-დღესასწაული სულ უფრო მხიარული და ხმაურიანი ხდებოდა, და ყმაწვილქალს აღარც არაფრის ახსნაგანმარტება არ ეჭირვებოდა.

ქართულად გადმოაენა
**გურამ გოგიაშვილმა.**

(გაგრძელება იქნება)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ № 152-166, 168-169, 171-172, 176-177, 180-181, 184-188.

**წყალბურთი**

# მასპინძლებმა საგზური დაიბევეს

**საწყლოსნო კომპლექს „ოლიმპიკში“ დაიწყო წყალბურთელთა ევროპის საკლუბო ჩემპიონატის – ლენტროფის პირველი საკვალიფიკაციო რაუნდი. A ჯგუფში, რომელსაც საქართველოს დედაქალაქი მასპინძლობს, მომდევნო ეტაპის 4 საგზურისთვის 6 გუნდი იბრძვის.** სტარტზე შესანიშნავად ითამაშა „ლიგამუს-თბილისმა“ – თელ ავივის ასა დიდი ანგარიშით – 18:4 (6:1, 3:0, 5:1, 4:2ძ დაამარცხა. ასევე წარმატებას მიაღწია ბუდაპეშტის „ჰონვედმა“, რომლის შემადგენლობაში ოლიმპიური თამაშების სამი ჩემპიონი თამაშობს. უნგრელებმა საფრანგეთის „ოლიმპიკს“ სძლიეს 11:2 (4:0, 2:2, 4:0, 1:0ძ. ევროპის ჩემპიონთა ლიგის სამგზის გამარჯვებულმა და ლენტროფის ხუთგზის მფლობელმა ნეაპოლის „პოსილიპომ“ თურქეთის ენკა-ს მოუგო 19:1 (3:0, 5:0, 4:1, 7:0ძ.




გუშინ მერე ტურში „ლიგამუს-თბილისმა“ უმთავრეს კონკურენტს თურქეთის ენკა-ს აჯობა 21:3 და, ფაქტობრივად, მეორე ეტაპზე თამაშის უფლება მოიპოვა.

**ლექსო ცინცაძე**

**ჩოგბურთი**

# ვოზნიაცკის აღზევება

**მართალია, საჩოგბურთო სეზონი იწურება, მაგრამ უცხოეთის კორტებზე ჯერ კიდევ იმართება მნიშვნელოვანი შეჯიბრებები, რომლებშიც ქართველი სპორტსმენებიც მონაწილეობენ. მაგალითად, ანა ტატიშვილმა კანზას-სიტის ტურნირზე (50 ათასი დოლარიძ ირინა ფალკონისთან წააგო – 5:7, 2:6, თუმცა წყვილთა თანრიგში პაექრობას განაგრძობს.**

ასევე, ერთეულებში დამარცხდა სალომე დევიძე უილიამსბურგის 10-ათასიან ტურნირზე, წყვილებში კი მაგდა ოქრუაშვილთან ერთად მეოთხედფინალში გავიდა.

ამასობაში პროფესიონალ ქალთა რეიტინგ-ლისტს სათავეში ჩაუდგა დანიელი კაროლინ ვოზნიაცკი, რომელიც ტოკიოს ტურნირის მოგების შემდეგ ჩინეთის ღია პირველობის (4 500 000 დოლარიძ მეოთხედფინალში გავიდა. იქ კი რუსი ელენა დემენტიევას მძლეველ ანა ივანოვიჩს (სერბეთიძ დაუპირისპირდა.




**ლაშა დიდია**

**ფეხბურთი**

**გერმანიის ქალაქ ბოხუმში დაიწყო საფეხბურთო შეხვედრების შედეგების მანიპულირებასთან დაკავშირებული უდიდესი ევროპული სკანდალის სასამართლო პროცესი.**

**საეჭვო მატჩები (სულ 270ძ გამოვლენილია გერმანიაში, თურქეთში, შვეიცარიაში, ბელგიაში, ხორვატეთში, სლოვენიაში, უნგრეთში, ავსტრიაში, ბოსნიასა და სხვა ქვეყნებში, რის გამოც საქმეში ფიგურირებს 250 პიროვნება.**

## ებრძვიან აფერისტებს

განსასჯელთა შორისაა პროფესიონალი მოთამაშე კრისტიან ს, რომლის მეშვეობითაც ეძებდნენ კონტაქტებს კლუბებთან (მაგალითად: „თუნი“, „ლუგანო“ძ და აწარმოებდნენ ცალკეულ ფეხბურთელთა მოსყიდვას.

გერმანული მართლმსაჯულების ძალში გაბმულ უმსხვილეს ობობად ხორვატი ანტე ს. მოგვევლინა, რომელმაც უწინ 4,5-წლიანი სასჯელი მოიხადა გერმანელ მსაჯ რობერტ ჰოიცერის გახმაურებულ საქმეში მონაწილეობის გამო. სწორედ მას ბრალდება შვეიცარიისა და საქართველოს ჭაბუკთა ნაკრებების უკრაინელ არბიტრ ორეხოვისთვის ქრთამად 26 ათასი ევროს გადაცემა, სულ კი ბალკანელმა მაქინატორმა საფეხბურთო თაღლითობით 8 მილიონი ევრო ჩაიჯიბა (საშუალოდ თითოეული შეხვედრიდან – 100 ათასიძ.

დავძენთ, რომ სამართალდამცავები საქმოსანთა კვალზე შემთხვევით მას შემდეგ გავიდნენ, რაც პოლიციელებმა კრიმინალურ ელემენტთა სატელეფონო საუბრების ფარულად მოსმენისას ისეთი სიტყვები დააფიქსირეს, როგორიცაა გუნდების სახელწოდება, მატჩების კალენდარი და ფეხბურთელთა გვარები, ხოლო ყალთაბანდები ფულის გადაცემის დროს დააკავეს.

შემდგომი მოსმენები 14-15 ოქტომბრისთვისაა დანიშნული და ახალ გარემოებებსაც, ალბათ, მაშინ შევიტყობთ.



**რაგბი**

# აბა, მუშტი-კრივშიც მნახე, ვინა ვარ

**შეხლა-შემოხლა რაგბისთვის უცხო არ არის, მაგრამ, ჩვეულებრივ, მატჩები მშვიდობიანად მთავრდება. აი, რუსთავის „ხარებისა“ და თბილისის „არმაზის“ პაექრობა კი ჩაიშალა – მოედანზე ისეთი მუშტი-კრივი ატყდა, რომ მსაჯებმა მორჩხუბარნი ვერაფრით დააშოშმინეს. იმედია, რაგბის კავშირი ამ ინციდენტთან დაკავშირებით მკაცრად იმსჯელებს და დამნაშავეებს სათანადოს მიუზღავს.**

რაც შეეხება ეროვნული ჩემპიონატის მე-13 ტურის დანარჩენ ორთაბრძოლებს, ქუთაისის „აიამ“ გათამაშების აუტსაიდერი „ბათუმი XV“ დაამარცხა 30:15 და 18 ქულით დაწინაურდა. ამდენივე ქულა მოაგროვეს „აკადემიისა“ და „ვისოლ-ყოჩების“ მძლეველმა (შესაბამისად, 17:16 და 21:7ძ „ლელომ“ და „ლოკომოტივმა“, რომლებიც მეორე-მესამე ადგილებს ინაწილებენ.



**ინტერნეტიდან**

## პირობა შეასრულა




**ესპანეთის ეროვნული ნაკრების ერთ-ერთმა სპონსორმა – სევილიის ლუდსახარშმა კომპანია „კრუზკამპომ“ წლევანდელი მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატის დაწყებამდე თანამემამულეთათვის მიცემული სიტყვა შეასრულა და სამხრეთაფრიკულ მუნდიალზე გამარჯვებისთვის თითოეული მოთამაშე მისი პირადი წონის შესაბამისი ლუდის რაოდენობით დააჯილდოვა. ჯამში ტრიუმფატორებს 1734 ლიტრი სანატრელი პროდუქცია ერგოთ.**

ყველაზე დიდი დოზის მფლობელი „ფურია როხას“ 94,6-კილოგრამიანი ბასკი გიგანტი ფერნანდო ლორენტე („ბილბაო“ძ გახდა, რომელიც ფორუმამდე მხოლოდ 88 კილოს იწონიდა, ხოლო ანდალუზიური „სევილიას“ მინიატურული მარჯვენაფლანგელის ხესუს ნავასის ნადავლი 60 ლიტრია.

სხვათა შორის, „კრუზკამპო“ ჰოლანდიური გიგანტის „ჰაინეკენის“ ფილიალია და თუ გადამწყვეტ ბრძოლაში წარმატებას „ტიტების ქვეყნის“ შვილები მიაღწევდნენ, თითოეულ „ნარინჯისფერს“ ფეშქაშად მისი ოჯახის წევრთა საერთო წონის შესატყვისი ლუდი ელოდა.

## რა სისტემა გაუძლებდა

**დელიში მიმდინარე ბრიტანეთის თანამეგობრობის თამაშების ოლიმპიური სოფლის სადრენაჟო სისტემას მის მონაწილეთა მიერ ათასობით გამოყენებული და უნიტაზებში ჩაყრილი პრეზერვატივის გამო კოლაფსი ემუქრება.** ციებცხელება დენგეს ეპიდემიის თავიდან ასაცილებლად ორგანიზატორები დღე-ღამის განმავლობაში ასუფთავებენ გაჭედილ მილებს, მაგრამ ერთობ საეჭვოა, მიზანს მიაღწიონ, რადგან სპორტული ბანაკის საკანალიზაციო სისტემის ხარისხი უამრავ საყვედურს იწვევს ობიექტის სარეკონსტრუქციო სამუშაოების მიფუჩეჩებული რეჟიმის გამო.



**ცნობისთვის:** სულ გრანდიოზული ღონისძიების მასპინძლები 8 ათასი კონტრაცეპტივის გავრცელებას ვარაუდობდნენ, თუმცა ერთ კვირაში უკვე მისი ნახევარი გასაღდა.

## მოხსნეს... ტელეფონით

**ინგლისის სასექსის საგრაფოს სამოყვარულო საფეხბურთო გუნდის „ჩიჩესტერ სიტის“ თავკაცი მარკ პოულტონი პირველი მწვრთნელია, რომელიც კლუბის ერთ-ერთი დირექტორის ჰარი უოკერის სატელეფონო ზარის შემდეგ უმუშევარი დარჩა.**

ამ დროს მისი შეგირდები რეგიონული ლიგის მატჩში უგებდნენ „რედჰილს“ – 2:1, საბოლოოდ კი 2:4 დამარცხდნენ.

„უსაზღვროდ მოხარული ვარ, რომ ამიერიდან აღარაფერი მაკავშირებს „ჩიჩესტერში“ გამეფებულ უწესრიგობასთან და პრობლემებთან“ – განაცხადა თამაშის შემდეგ შერისხულმა.



## დევნილების კიდევ ერთი გასაჭირი

# „ჩემი ოჯახი საკუთარი დანაზოგის მიუღებლობით გაუბედურდა“...

ზუგდიდელი დევნილები (ვეტერანებიძ ანაბრების დაბრუნებას ითხოვენ. გალის რაიონის მკვიდრი ვანო მოროხია მისი ოჯახის გაუბედურებას ანაბრების მიუღებლობას აბრალებს. „ჩემი ოჯახი თერთმეტი წევრისგან შედგებოდა, მონაწილეობა არ მიგვიღია ძმათამკვლელ ომში. ჩემი შვილი ფრიდონ მოროხია მუშაობდა კრასნოიარსკის მხარის ქ. ნაბერეჟნიეჩელნის ავტოქარხანაში მომარაგების ინჟინრად. ქართულ-აფხაზური კონფლიქტის პერიოდში ჩამოვიდა გალში, რომ მისი უფროსი ძმა – ედემი თავისთან წაეყვანა... შვილების დასახმარებლად, ოჯახის შესანარჩუნებლად მქონდა მცირე დანაზოგი. მოვითხოვე შემნახველ ბანკში არსებული ჩემი თანხის დაბრუნება, მაგრამ არ მომცეს. ამიტომ, ჩემმა შვილმა ვერ მოახერხა გამგზავრება. 1993 წლის პირველ ოქტომბერს ორივე შვილი გალის რაიონის სოფელ მზიურში დამიხვრიტეს არამზადა სეპარატისტებმა. შვილების ტრაგიკულმა სიკვდილმა იმსხვერპლა მათი დედა ნუცა, შვილების დაღუპვიდან მე-11 დღეს გარდაიცვალა. ერთი წელიც ვერ იცოცხლეს ედემის გამზრდელმა ბიძამ და ბიცოლამ... ხუთივე განსვენებული მიბარებულია გალის რაიონის სოფელ რეფის მიწას, თუმლაცა ტრადიციული სასაფლაო არცერთს არ აქვს! ახლა გვინდა ხუთივე მიცვალებული ჩვენივე წინაპრების სასაფლაოზე გადმოვასვენოთ. ამას გარკვეული თანხა სჭირდება, რაც მე არ გამაჩნია. ვარ ჩემი ანაბრის იმედით. დრო არ ითმენს, ვინ გადახნავს და ვინ შეურაცხყოფს შვილების საფლავს არ ვიცი. ჩემი ოჯახის უბედურება საკუთარი დანაზოგის მიუღებლობამ გამოიწვია“, – კვნესის და ოხრავს ვანო მოროხია.

ვეტერანმა დევნილებმა ღია წერილი – „დაგვიბრუნეთ ანაბრები!“ გაუგზავნეს საქართველოს პრემიერ-მინისტრ ნიკა გილაურს: „ანაბრების განაღდება თავისუფლად შეუძლია საქართველოს მთავრობას. მეანაბრეებს გამოუყონ ასი მილიონი დოლარის ეკვივალენტი ლარებში და გაიცეს მეანაბრეებზე კატეგორიების მიხედვით, დაგვიბრუნეთ ანაბრები! დაგვიბრუნეთ სიცოცხლე! შვიდმილიარდიანი ბიუჯეტის მქონე ქვეყანას შეუძლია ჩვენი მოთხოვნები დააკმაყოფილოს!“ – ნათქვამია პრემიერისადმი გაგზავნილ ღია წერილში, რომელსაც ხელს 15 ვეტერანი დევნილი აწერს.

ლადო ქირია,
ზუგდიდი.

## ცისფერი ეკრანი: კულტურა, სპორტი

**რას ვუყუროთ შაბათს, კვირას, ორშაბათს**

### 9 ოქტომბერი, შაბათი

I არხი
11.00 სერიალი „პინოქიო“
12.15 მხ.ფილმი „ჰარი პოტერი და აზკაბანის ტყვე“
17.00 წყალბურთი. „ლენტროფი“. 1-ლი საკვალ. რაუნდი „ჰონვედ გრუპამა“ (უნგრეთიძ – „სნ პოსილიპო“ (იტალიაძ
18.30 წყალბურთი. „ლენტროფი“. 1-ლი საკვალ. რაუნდი „ლიგამუს-თბილისი“ (საქართველოძ – „ოლიმპიკი“ (საფრანგეთიძ
23.00 სერიალი „კოლდიცი“
00.00 მხ.ფილმი „ცხოვრება როგორც სახლი“
02.35 მხ.ფილმი „სასიკვდილო იარაღი 2“

II არხი
20.00 მხ.ფილმი „ჰარი პოტერი და ფილოსოფიური ქვა“
22.30 კონცერტი : „ფორტე“
00.40 მხ.ფილმი „მადმუაზელი“

რუსთავი-2
13.00 მხ.ფილმი „მამიკოები“
15.50 მხ.ფილმი „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“
18.50 სერიალი „დანიელა“
19.50 სერიალი „იქ, სადაც უყვართ“
22.00 სერიალი „ბიზნესი მაღალ ქუსლებზე 3“
23.00 სერიალი
00.00 მხ.ფილმი „ბევერლი ჰილზი 3“
02.20 მხ.ფილმი „ძმები ჰელიდან“

იმედი
09.15 მხ.ფილმი „თაგუნა სტუარტის თავგადასავალი“
11.10 სერიალი „ურჩხულებთან მებრძოლები“
11.50 სერიალდი „მეორე სიცოცხლე“
16.00 სერიალი „ლუნას მემკვიდრეობა“
17.40 სერიალი „სიყვარულის სახელით“
18.45 სერიალი „ლოგას საიდუმლო“
21.00 სერიალი „დაუმორჩილებელი სული“
22.00 ქართ.სერიალი „შუა ქალაქში“
23.00 სერიალი „ციხე ოზი“
00.00 მხ.ფილმი „უცხოები“
01.50 სერიალი „დაკარგულები-5“
02.30 მხ.ფილმი „მისტერ და მისის სმითები“

მზე
13.50 სერიალი „ქახილი“
14.50 სერიალი „დინოტოპია“
15.40 სერიალი „ველური მთვარე“
16.30 მხ.ფილმი
18.40 სერიალი „ჩემი შეყვარებული“
20.00 ფეხბურთი
22.00 სერიალი „მარია ემილია“
00.10 მხ.ფილმი

აჭარა
09.30 სერიალი „მეგობრები“
12.30 სერიალი „პადრე კორახე“
13.15, 19.30 სერიალი „კეთილშობილი თაღლითები“
16.30 სერიალილ „მოჯადოება“
18.50 მხ.ფილმი „უფლისწული იუკი“
23.00 მუსიკალური პროექტი
23.20 მხ.ფილმი „თვითმფრინავისკენ გასასვლელი“

ერთსულოვნება
12.20 მხ.ფილმი „ყველაზე სწრაფები მსოფლიოში“
15.10 ოპერა
19.30 მხ.ფილმი „ჭრიჭინა“
00.45 მხ.ფილმი „ხარება და გოგია“ 1-ლი სერია

საქართველო
08.50, 18.35 სერიალი „იმპერია“
19.40 მხ.ფილმი „ავატარი“
14.15 მხ.ფილმი „ზღვის ლომები“
16.20 მხ.ფილმი „ეროვნული საგანძური 2“
19.30 მხ.ფილმი „დაუმარცხებელი“
21.55 მხ.ფილმი „ოქროს კომპასი“
23.50 მხ.ფილმი „ატილა“

რეგიონი – TV
11.05 მხ.ფილმი „ქალბატონი მოსამსახურე“
12.45 მხ.ფილმი „ახალგაზრდა ვიქტორია“
14.25, 00,55 მხ.ფილმი „ღამის ზღაპრები“
16.00 მხ.ფილმი „ამანათი“
18.00 მხ.ფილმი „ქარიშხლის მბრძანებელი“
20.40 მხ.ფილმი „რკინის კაცი 2“
22.45 მხ.ფილმი „კიდევ ერთი ბოლეინების გვარიდან“

### 10 ოქტომბერი, კვირა

I არხი
12.30 წყალბურთი. „ლენ ტროფი“ 1-ლი საკვალ.რაუნდი. „ლიგმუს-თბილისი“ (საქართველოძ – „სნ პოსილიპო“ (იტალიაძ
17.00 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი
17.30 ქართ.მხ.ფილმი „ხარება და გოგია“ მე-2 სერია.
19.00 ფესტივალი „ჩვენებურები“
22.00 სერიალი „კოლდიცი“
23.40 მხ.ფილმი „თქვენთვის წერილია“
02.15 მხ.ფილმი „რობ როი“

II არხი
16.00 სპექტაკლი „სოფლის აშიკი“
22.00 კონცერტი. ალექსანდრე ბასილაია
00.05 მხ.ფილმი „ცხოვრება როგორც სახლი“

რუსთავი-2
13.30 მხ.ფილმი „ყველაზე მთავარი ბოსი“
15.20 სერიალი „კაპრი“



22.00 სერიალი „ბიზნესი მაღალ ქუსლებზე“
00.00 მხ.ფილმი „გადასხმის ზონა“
02.20 მხ.ფილმი „დრაკონების ომი“

იმედი
12.00 ქართ.სერიალი „შუა ქალაქში“
13.00 სერიალი „ლუნას საიდუმლო“
15.00 მხ.ფილმი „პირველი მერცხალი“
17.30 სერიალი „დათარსული კვირა“
19.05 სერიალი „გოგონა გარეუბნიდან“
21.00 სტუმრად იუმორინასთან
22.00 სერიალი „შუა ქალაქში“
23.00 სერიალი „ციხე ოზი“
00.00 მხ.ფილმი „ამერიკელი სამურაი“
01.50 სერიალი „დაკარგულები 5“
02.30 მხ.ფილმი „ტრანსპორტერი“
04.00 მხ.ფილმი „მტრის საწოლში“

მზე
14.30 ფეხბურთი
17.00 ფეხბურთი
19.00 მხ.ფილმი
21.00 ფეხბურთი
23.00 ფეხბურთი

მაესტრო
14.00 კანონი ხალხისთვის – ზ. ქუცნაშვილის პროექტი
21.00, 00.00 ნანა ლეჟავას „კვირის რეპორტაჟი“

აჭარა
09.30 სერიალი „მეგობრები“
12.40, 21,00 სერიალი „პადრე კორახე“
16.30 სერიალი „მოჯადოება“
19.20 ქართ.მხ.ფილმი
23.00 მუსიკალური პროექტი
23.20 მხ.ფილმი „გამოგონილი გმირები“

ერთსულოვნება
12.20 ქართ.მხ.ფილმი „ჭრიჭინა“
19.30 მხ.ფილმი „სამანიშვილის დედინაცვალი“
00.45 ქართ.მხ.ფილმი „ათოვდა ზამთრის ბაღებს“ მე-2 სერია

საქართველო
08.50, 18.35 სერიალი „იმპერია“
09.40 მხ.ფილმი „ავატარი“
14.15 მხ.ფილმი „პერი ჯექსონი და ოლიმპოს ღმერთები“
19.30 მხ.ფილმი „ილაის წიგნი“
21.35 მხ.ფილმი „კარგი, ცუდი, ბოროტი“
00.55 მხ.ფილმი „ომის გზა“

რეგიონი – TV
12.00, 01.10 მხ.ფილმი „გიყვარდეს და იცეკვე“
14.25 მხ.ფილმი „პატიკო. ყველაზე ერთგული მეგობარი“
16.00 მხ.ფილმი „ყველაზე უკეთესი“
18.20 მხ.ფილმი „მისტერ და მისის სმითები“
20.10 მხ.ფილმი „გეგმა „ბ“
22.50 მხ.ფილმი „კანონმორჩილი მოქალაქე“

### 11 ოქტომბერი, ორშაბათი

I არხი
09.00 მხ. ფილმი
11.00 სერიალი
12.30 სერიალი
15.00 სერიალი
21.00 სერიალი
23.30 მხ. ფილმი „50 პირველი პაემანი“

II არხი
20.00 მხ. ფილმი „50 პირველი პაემანი“
01.00 მხ ფილმი „ზნედაცემული“

რუსთავი-2
10.00 სერიალი „გრძნობათა ტყვეობაში“
11.00 სერიალი „სამუდამოდ შენი“
12.20 სერიალი „შენ ჩემი სიცოცხლე ხარ“
16.00 სერიალი „სიყვარულის საიდუმლო“
16.50 სერიალი „ბორენას ვნება“
18.50 სერიალი „დანიელა“
19.50 სერიალი „იქ, სადაც უყვართ“
23.00 სერიალი „სექსი დიდ ქალაქში“
23.30 მხ. ფილმი „ფორსაჟი“

მზე
10.50 სერიალი „მარია ემილია“
11.40 სერიალი „ტყუპები“
14.00 საფეხბურთო მიმოხილვა
14.50 სერიალი „დინოტოპია“
15.40 სერიალი „ველური მთვარე“
16.30 მხ. ფილმი
18.50 სერიალი „ჩემი შეყვარებული“
19.40 მხ. ფილმი
22.00 მხ. ფილმი (სუბტიტრებითძ
21.30 სერიალი „სი ეს აი“
00.20 მხ. ფილმი

იმედი
10.00 სერიალი „დაუმორჩილებელი სული“
11.50 სერიალი „მეორე სიცოცხლე“
13.00 სერიალი „ლოგას საიდუმლო“
16.00 სერიალი „ლუნას მემკვიდრეობა“
17.40 სერიალი „სიყვარულის სახელით“
18.45 სერიალი „ლოგას საიდუმლო“
21.00 სერიალი „დაუმორჩილებელი სული“
23.30 მხ. ფილმი „ცხოპლანეტელი 3“ (სუბტიტრებითძ
01.45 სერიალი „გაქცევა“
02.45 მხ. ფილმი „ღვთის გამოგზავნილი“ (სუბტიტრებითძ
06.00 სერიალი „ვარსკვლავური ოჯახი“

აჭარა
09.30 სერიალი „მეგობრები“
11.45, 21.00 სერიალი „პადრე კორახე“
12.45 სერიალი „კეთილშობილი თაღლითები“
16.30 სერიალი „მოჯადოება“
19.30 სერიალი „ლინდა და ბრიგადირები“
23.00 სერიალი „კურტიზანები“
23.55 მხ. ფილმი „თავგადასავლის ძიებაში“

ერთსულოვნება
12.20 მხ. ფილმი „საჰაერო ხიდი“
15.10 მხ. ფილმი „ნერგები“
19.15 მხ. ფილმი „იმერული ესკიზები“

საქართველო
08.50 სერიალი „ჩემი ყველაზე დიდი მტერი“
09.40 მხ. ფილმი „მტაცებელი“
11.35 მხ. ფილმი „ხალხის მტერი“
14.00 სერიალი „წყნარი ოკეანე“
17.50 სერიალი „ჩემი ყველაზე დიდი მტერი“
18.40 მხ. ფილმი „საერთაშორისო აგენტი“
20.50 მხ. ფილმი „თანამზრახველი“
23.00 სერიალი „წყნარი ოკეანე“
00.05 მხ. ფილმი „ზღვარი ქვიშაზე“

რეგიონი – TV
09.45, 1.45 სერიალი „ვნების ანატომია“ მე-17 სერ.
11.45, 00.30 მხ. ფილმი „ოუშენის თერთმეტი მეგობარი“
13.40 მხ. ფილმი „სულელთა ოქრო“
15.45 მხ. ფილმი „მელნის გული“
17.50 მხ. ფილმი „ჯაშუში მეზობლად“
22.30 მხ. ფილმი „ჩემი საუკეთესო საყვარელი“

რას ვუყუროთ შაბათს, კვირას, ორშაბათს

## ინფორმაცია

### პროკურატურამ ახალგაზრდები დაასაქმა

ბათუმის რაიონული პროკურატურის ინიციატივით 16 წლის ბეგლარ ქოქოლაძე ბათუმის საამშენებლო კომპანიაში „ორბი 2000“ დასაქმდა.

ბეგლარ ქოქოლაძე აჭარის მკვიდრია, ის მახინჯაურის მეურნეობაში ოჯახთან ერთად ვაგონში ცხოვრობს. ბ. ქოქოლაძე სისხლის სამართლის კოდექსის 177 მუხლის მესამე ნაწილით არის ნასამართლევი და აქვს პირობითი მსჯავრი ხუთი წლის გამოსაცდელი ვადით.

ბათუმის რაიონულმა პროკურატურამ გაითვალისწინა ბეგლარ ქოქოლაძის მძიმე სოციალური მდგომარეობა და მას დასაქმების შესაძლებლობა მისცა, რაც ქოქოლაძეების სოციალურად დაუცველი ოჯახისათვის შემოსავლის საშუალება გახდება. 7 ოქტომბრიდან ბეგლარ ქოქოლაძე ბათუმის სამშენებლო კომპანიაში „ორბი-ანაკი“ იმუშავებს და მისი ანაზღაურება 300 ლარი იქნება. პირველ სამუშაო დღეს სამსახურში ბეგლარ ქოქოლაძე ბათუმის რაიონულმა პროკურორმა ავთანდილ კილაძემ პირადად მიიყვანა.

ХО-ЭОВ-ЭБО

## სულიერება



# ივერიის ღვთისმშობლის ხატი გვფარავდეს!

**9 ოქტომბერს საქართველოს მართლმადიდებელი წმიდა სამოციქულო ეკლესია ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატის ათონიდან საქართველოში ჩამობრძანებას დღესასწაულობს.**

1989 წლის 9 ოქტომბერს ათონის ივერთა მონასტრიდან თბილისში ჩამოაბრძანეს ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატი – „პორტაიტის (კარიბჭისძ ასლი, რომელიც წმინდა ათონის მთის ბერებმა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II ლოცვა-კურთხევით და ქართველთა ერისადმი სიყვარულისა და მადლიერების გამოსახატავად შეასრულეს.

...ღვინობისთვის ამ მადლიან დღეს მთელი საქართველო ზეიმობდა. ქართველი ერის იმდროინდელ გაჭირვებაში ივერიის მფარველი ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატის ჩამობრძანება ყველა ჩვენგანმა ზეციურ კურთხევად აღიქვა და ეს დღე საქართველოს ეკლესიის ისტორიაში შევიდა, როგორც დღესასწაული.

**გიული ლიპარტია**

## ინფორმაცია განსჯისთვის

# ჯარისკაცების უკვდავყოფის კულტურა ამერიკულად

**თბილისში გმირთა მოედანზე აღმართული პლასტმასის სვეტი, ზედ წარწერილი სახელებით, რომელმაც ვითომ დაღუპული მებრძოლები უნდა უკვდავყოს, თავისი უგემოვნობითა და უადგილობით საზოგადოების აღშფოთებას იწვევს. შესადარებლად გთავაზობთ, თუ როგორ მიაგებენ პატივს დაღუპულ გმირებს აშშ-ში.**

ამერიკის შეერთებულ შტატებში პირველი მოგზაურობიდან, ბუნებრივია სამშობლოში შთაბეჭდილებებით დატვირთული დავბრუნდი. უკვე 20 წელიწადზე მეტია გასული, მაგრამ იქ ნანახი და განცდილი დღემდე მკაფიოდ მიდგას თვალწინ.

განსაკუთრებით დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე ქვეყნისათვის ბრძოლაში დაღუპული ჯარისკაცების უკვდავყოფისთვის გაწეულმა ძალისხმევამ. ამჯერად საუბარი მექნება ვიეტნამის ომში დაღუპული ან უგზოუკვლოდ დაკარგული ამერიკელი ჯარისკაცების ხსოვნის მემორიალზე, რომელიც აშშ დედაქალაქში ვაშინგტონში მდებარეობს. ნიშანდობლივია, რომ მემორიალის მშენებლობა მთლიანად დააფინანსა ვიეტნამის ომის ვეტერანთა არასამთავრობო, საქველმოქმედო ფონდმა. მან კონკურსი გამოაცხადა მემორიალის პროექტის შესაქმნელად. საკონკურსოდ წარადგინეს 1421 პროექტი, რომლებიც სპეციალურმა ჟიურიმ განიხილა. ჟიურის შემადგენლობაში შედიოდნენ ამერიკის საუკეთესო არქიტექტორები, დიზაინერები და მხატვრები. გამარჯვებულად სცნეს... კონექტიკუტის შტატის იელის უნივერსიტეტის არქიტექტურის ფაკულტეტის სტუდენტის მაი ინგ ლინის პროექტი.

მემორიალი წარმოდგენილია ორი შავი გაპრიალებული გრანიტის სოლისებური კედლით, რომლებზეც ამოკვეთილია ბრძოლის ველზე დაღუპული 57939 ამერიკელი ჯარისკაცის სახელი. კედლების სიმაღლე ისეა შერჩეული, რომ ნებისმიერ ადამიანს შეუძლია მიუახლოვდეს მათ, შეეხოს, მუხლი მოიყაროს, შუბლი მიადოს, ილოცოს მათი სულებისათვის, თუ უბრალოდ ამოიკითხოს ჯარისკაცების გვარები და სახელები.



მიუხედავად იმისა, რომ ამერიკელები ვიეტნამის ომში დამარცხდნენ, მემორიალს ლათინური ასო V-ს ფორმა აქვს. დასავლეთი კედელი მიმართულია აბრაამ ლინკოლნის მემორიალისკენ, ხოლო აღმოსავლეთი კედელი ჯორჯ ვაშინგტონის მონუმენტისაკენ. მემორიალს ამშვენებს ამერიკის შეერთებული შტატების ბრინჯაოს დროშა და რამდენიმე ჯარისკაცის ფიგურა. განსაკუთრებულია მემორიალის ადგილმდებარეობაც, იგი ვრცელ, მწვანე მდელოზეა, სადაც სიმშვიდე, სიწყნარე და სრული იდილია სუფევს.

**სანდრო ნონეშვილი,**
*ისტორიკოსი*

**შევიძენ**

მედლებს, ორდენებს, ხმლებს, ხანჯლებს, ყველანაირ ძველებურ ნივთებს.
855-42-05-82.

**იყიდება სასწრაფოდ!**

ბინა ატენის ქუჩაზე (№3, ვაკეძ
საუკეთესო ფართობი (180 კვმ.ძ საუკეთესო ადგილზე, გინდათ საცხოვრებლად, გინდათ საოფისედ. ფასი შეთანხმებით. დარეკეთ 230312 ან 899 537 616, 893 592 152.

აგარაკი ტაბახმელაში
ულტრათანამედროვე სააგარაკო შენობა, ყველანაირად კეთილმოწყობილი, ფასი შეთანხმებით. დარეკეთ 899 24 17 71, 899 16 93 57.

## ანეკდოტები

– მამიკო, სულელებს როგორ იჭერენ?
– როგორ და, კოსმეტიკით, ლამაზი კაბებით და ღიმილით, ჩემო ბიჭო.

* * *

კინოთეატრში ფილმს უჩვენებენ, უცებ ბოლო რიგიდან კაცი წამოხტება და ყვირის:
– ექიმები არიან დარბაზში?
–ინთება შუქი, ყველა შეშფოთებული იყურება აქეთ-იქით, ბოლოს ერთი კაცი დგება და პირველი რიგიდან ამბობს:
– მე ვარ ექიმი!
– კაი ფილმია, არა, კოლეგა?

* * *



ქორწინებიდან რამდენიმე დღის შემდეგ ქალი ეუბნება ქმარს:
– ქვირფასო, რატომ აღარ მეძახი ღვთაებას, როგორც ადრე?
– ქორწინების პირველი ღამის შემდეგ გადავწყვიტე, ათეისტი ვიყო, უპასუხებს ქმარი.

* * *

გვიან ღამით ცოლი აღვიძებს ქმარს.
– რა მოხდა? – ეკითხება ქმარი.
– არაფერი, უბრალოდ მიკვირს, როგორ გძინავს ასეთი მცირე ხელფასის პატრონს?

* * *

– სიყვარული მართლა მარადიულია? – ეკითხება ჭიჭიკიას მოზრდილი ბიჭი.
– კი, ოღონდ პარტნიორები იცვლებიან ხანდახან.

## დღის კალენდარი

### 9 ოქტომბერი

მიცვალება წმიდისა და ყოვლადქებულისა მოციქულისა და მახარებელისა იოანე ღმრთისმეტყველისა (II საუკუნის დასაწყისიძ; დღესასწაული ივერიის ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლი ხატისა,რომელიც საქართველოში ათონის ივერთა მონასტრიდან ჩამოაბრძანეს (1989ძ. ტიხონისა, მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქისა.



ამოდის 06.06
ჩადის 17.30



ამოდის 08.04
ჩადის 18.07

### დაიბადნენ:

**1202 – რობერ დე სორბონი,** ფრანგი თეოლოგი, XVII საუკუნიდან მის სახელს ატარებს პარიზის უნივერსიტეტი. გარდაიცვალა 1274 წელს.
**1547 – მიგელ დე სერვანტეს საავედრა,** დიდი ესპანელი მწერალი. გარდაიცვალა 1623 წელს.
**1835 – შარლ კამილ სენ-სანსი,** ფრანგი კომპოზიტორი. გარდაიცვალა 1921 წელს.
**1843 – ნიკო ნიკოლაძე,** პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე. გარდაიცვალა 1928 წელს.
**1874 – ნიკოლაი რერიხი,** რუსი მხატვარი. გარდაიცვალა 1947 წელს.
**1891 – სერგეი იუდინი,** რუსი ქირურგი, ნობელის პრემიის ლაურეატი. გარდაიცვალა 1954 წელს.
**1901 – იარომირ იედლიჩკა,** ჩეხი ქართველოლოგი, კავკასიოლოგი, მთარგმნელი. გარდაიცვალა 1965 წელს.
**1904 – მიკოლა ბაჟანი,** უკრაინელი პოეტი. რუსთაველის პრემია მიენიჭა ვეფხვისტყაოსნის უკრაინულად თარგმანისთვის. გარდაიცვალა 1984 წელს.

### გარდაიცვალნენ:

**1909 – ჩეზარე ლომბროზო,** იტალიელი ექიმი-ფსიქიატრი და ანთროპოლოგი, დაიბადა 1835 წელს.
**1926 – ვასო აბაშიძე,** გამოჩენილი ქართველი მსახიობი, დაიბადა 1854 წელს.
**1958 – პიუს XII,** რომის პაპი. დაიბადა 1876 წელს.
**1967 – ანდრე მორუა,** ფრანგი მწერალი. დაიბადა 1885 წელს.

### მოვლენები:

**1776** – ესპანელი მისიონერები დასახლდნენ ტერიტორიაზე, რომელსაც ახლა სან-ფრანცისკო ეწოდება.
**1836** – რუსეთში გაიხსნა პირველი რკინიგზა.
**1855** – ისააკ ზინგერმა საკერავი მანქანა დააპატენტა.
**1874** – დაარსდა მსოფლიო საფოსტო კავშირი.
**1876** – პირველი ორმხრივი სატელეფონო საუბარი გარეგაყვანილობით.
**1940** – ლონდონში ნაცისტებმა წმ. პავლეს საკათედრო ტაძარი დაბომბეს.
**1944** – გაიხსნა მოსკოვის კონფერენცია. ჩერჩილი და აშშ-ს წარმომადგენელი ჰარიმანი შეხვდნენ სტალინს და განიხილეს შემდგომი საბრძოლო მოქმედებების გეგმა.
**1953** – კონრად ადენაუერი აირჩიეს დასავლეთ გერმანიის კანცლერად.
**1961** – ტანგანიკა დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადდა.
**1962** – უგანდა დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადდა.
**1975** – ანდრეი სახაროვს მიანიჭეს ნობელის პრემია.
**1984** – პირველი ამერიკელი ქალი – ქეითი სალივანი გაფრინდა კოსმოსში.

**ღირსსახსოვარი დღეები:**
**ფოსტის მსოფლიო დღე.**
**აზერბაიჯანი** – არმიის დღე.
**უგანდა** – დამოუკიდებლობის დღე.
**სამხრეთ კორეა** – კორეული ანბანის დღე.
**პერუ** – ეროვნული ღირსების დღე.

**მედიანიუსი**

## კადრი



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 879 01-04-77

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.